

დავით აღმაშენებლის



Indépendante

Revue mensuelle

SEPTEMBRE

1933—№ 93

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს ბ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი პ ა რ ტ ი ე ბ ი ს ო რ გ ა ნ ო .

შ ი ნ ა ა რ ს ი :

მეთაური—მათრახი და ტკბილისკვერი.
 ვლამანდო—საქ. საელჩო და საფ.-საბჭ. განწყობილ.
 მ. უ.—პრეზ. რუხველტის დიდი ექსპერიმენტი.
 ალკა—საბჭოთა კავშირის ცხოვრებიდან.
 ს. ფირცხალავა—კავკასიელთა ერთ. დაახლოვება
 უცხოეთის მიმობილვა.

ი.—მუშათა სოც. ინტერნაც. კონფერენცია.
 ბ. გელა-გელაზანია—ისტორიული სინამ. სახეები!
 უკრაინელთა შორის.
 «პრომეთეს» საზოგადოება.
 შ. აბ-ი—ნიკო ნასიძე.
 მ. ნადამვილი—წერილი რედ. მიმართ.

მ ა თ რ ა ხ ი ღ ა ტ კ ბ ი ლ ი ს კ ვ ე რ ი

ჩვენ გვქონდა იშვიათი შემთხვევა თვიდან თვე, შეიძინა ნომრის გასწვრივ, გვებეჭდა გენოს საყურადღებო წერილები აბხაზეთზე, დარწმუნებულნი, რომ მკითხველი უფრო და უფრო მეტის ინტერესით ეწაფებოდა მათ. საქირა, აუცილებელი და მეტათსასარგებლო რაც შეიძლება მეტი მოგვიდოდეს მზავის წერილები ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხიდან—აი რა შექმნის ცხოველ კავშირს ჩვენსა და სამშობლოს შორის, რა გახდის «დამოუკიდებელ საქართველოს» ერის ნამდვილ ბრძოლის ორგანოდ.

აბხაზეთი, რომელზედაც ჩვენი კორესპონდენტი გვწერს, ერთგვარი საცდელი მიდორია, სადაც მტერი თავის დაპყრობით კოლონიალურ პოლიტიკას ტკბილისკვერით ცდილობს უანგარო სახე მისცეს. ეს ავანაჟობა და მზაკვრობა ერთი მეორეს ეცილება ხალხის დასაბეჩავებლათ, დასაბრიყვებლათ. ასე იყო რომანოვების დროს, ასეა კიდევ უფრო ბოლშევიკების დროს.

მტრის ლოზუნგი წინეთ და ესლაც ერთია: ქართული იმპერიალიზმი, ჰკა მაგას! სუმრობა ნუ გგონიათ, მტერი ჩასჩინებებს აბხაზეტს დღე მუდამ ყურში: ქართველები თქვენზე გაბატონებას ჩემულობენ, უნდათ დაეპატრონონ თქვენს მიწა-წყალს, გაგაქართველონ, ჩვენ კი მოვსულვართ თქვენი მფარველად, ეროვნულ თავისუფლების მებარიალტრედ! და აი, ამ ვერაგ პოლიტიკის ლოლიკური დასკვნაა ის, რასცა გენო გვამცნევს: მოსკოვმა განიზრახა აბხაზეტის

უშუალო მიკერება ველიკორსიის ფედერაციაზე. განა ასე არ უყვეს მთიელთა რესპუბლიკებს? მამრისი ბოლშევიკები არიან, თუ შავრაზმელებს არ გაუსწრეს? მართლაც, ძველი რეჟიმის დროს, აბხაზეტს მხოლოდ გაგრის ნაწილი ჩამოსურეს და ჩერნომორიას მიაკერეს, სინოდმა კი სოსუმის ეპარქია საქართველოს ეკლესიას ჩამოაცილა. რევოლუციის პირველ ხანებში, კიდევ დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე, ეს უსამართლობა გასწორებულ იქნა. დღეს კი ბოლშევიკები, უბრუნდებიან რა შავრაზმელების მეთოდს, უფრო შორს მიდიან და სურთ მთელი აბხაზეთი ჩამოსურან დედა-ბოძს, საქართველოს.

მაგრამ, სანამ ამ ველურ მიზანს მიაღწევდენ, აი რას გვწერს გენო: «ბოლშევიკები ეუბნებიან აბხაზეტს, რომ საქართველოს სურდა თქვენი ეროვნული სახის წაშლა, აქ ბატონობდა ქართული ენა მაშინ, როცა სახელმწიფო ენად აქ აბხაზური ენა უნდა იყოს». სთქვეს და კიდევ შეასრულებს: აბხაზური სახელმწიფო ენად გამოაცხადეს, ხოლო ფაქტიურათ «ოქტომბრის» ენა გაბატონეს—დასძენს გენო. სხვანაირათ არც კი შეიძლებოდა. აბხაზურზე არ არსებობს ანბანი, მწერლობა, თუ ამეებად გოლუმტეველადარია-ბასარიების ნაცოდვილებს არ ჩავთვლით, რომელიც უნიკო მიბაძვავა რუსული ანბანისა და სიტყვიერების.

აბხაზეტი საუკუნოებით ქართულს ხმარობდენ სახელმწიფო და სამწერლო ენად, ყველა მათი ისტო-

რიული საბუთები ამ ენაზედ არსებობს, მათ ნანგრევებს ამ ენაზედ აქვს წარწერები და, რა თქმა უნდა, მარტოდენ ქართულ ენას შეეძლო ნამდვილი სახელმწიფო და ეროვნული იარაღი გამხდარიყო აბხაზების ხელში აშკარა გარუხების წინააღმდეგ. ამით იმის თქმა არ გვსურს, თავის თავათ იგულისხმება, რომ აბხაზებს თავისი ენა დაევიწყნათ. პირიქით, ქართული ნიშნებით მათ შეეძლოთ საკუთარი მწერლობაც შეექმნათ, ესმარათ იგი როგორც სკოლაში, ისე მართველობაში, სახელმწიფო ქართული ენის გვერდით. რომელ ენაზე გსურთ, მაგ., აბხაზური ხმები: პ, ფ, ქ, ლ, წ, ჯ და სხვები გამოხატოთ, თუ არა ქართულზე? ვანა ცოტაა აბხაზური ანდაზები, ლექსები, ზღაპრები ქართული ასოებით ჩაწერილი, რამდენი დადის ხელიდან ხელში, როგორ აღტაცებით ისმენენ მათ აბხაზი გლეხები?

გენო ერთ კითხვას არ ეხება: რომელია უმრავლესობის ენა აბხაზეთში? ქართული, რასაკვირველია, ეს ვერ უარუყვია ყრუ ნესტორ ლაკობას, აბხაზეთის სოფნარკომის თავმჯდომარეს, ის ერთხელ იძულებულიც იყო ეს საბუთი ესმარა საქართველოს საბჭოთა ყრილობაზედ მოქიშვე აბხაზ კომუნისტების დასამცირებლათ: რააა, თქვენ გინდათ პირველობა აბხაზეთში, იქ ხომ ქართველები არიან უმრავლესობაშიო? ლაკობა მაშინ და ენლაც, როგორც გენო ამბობს, სამურზაყანელებს მეგრულ-ქართველებად სთვლის, სხვათა შორის, ამიტომ უწყალობა მათ ქართული საწერი მანქანებით!

ჩვენს დროს აბხაზეთში, სამურზაყანოს გარდა, სამი მხარა ითვლებოდა: 1) კოდორის (აბჟუა), სადაც მცხოვრებნი ორსავე აბხაზურ-მეგრულ ენაზე ლაპარაკობენ; 2) სოხუმის (გუმისტა, წებელი, დალი), სადაც სამიოდვე სოფელია აბხაზების, დანარჩენები მეგრულ-სომხებ-ბერძენებისგან შესდგებიან, შედარებით მეგრელები ჭარბობენ და 3) გუდაუთა-გაგრის (ბზიფი), სადაც უმრავლესობა აბხაზებია. ესლა ამას თუ დაუმატეთ ქალაქები და დაბები, ნავთსადგურები, აქ აბხაზები კანტი-კუნტათ შეგხვდებათ, ხოლო მეგრულ-ქართველები აბსოლუტურ უმრავლესობას წარმოადგენენ რუს-სომხებ-ბერძენებთან შედარებით. აქედან ცხადია, თუ უმრავლესობის ენა სახელმწიფო ენა უნდა იყოს, როგორც ამას რუსები ამბობენ მხაკვრულათ, ეს სწორეთ ქართული ენა უნდა იყოს.

ასე არ იყო, რასაკვირველია, უკანასკნელ ომამდე რუსეთსა და ოსმალეთს შორის. გენო მოგვითხრობს, თუ როგორ გაყლიტეს ან კიდევ გადარეკეს ოსმალეთში რუსებმა აბხაზთა უმრავლესობა. აბხაზეთის შუაგულ, ყველაზე მდიდარ და მრავალრიც-

ხვან სოხუმის მხარაში, მათ მთლათ მოსპეს აბხაზის ელემენტი და მით მთელი მხარე ორად გააპეს. ეს ქრილობა დღესაც ღიათაა, აბხაზის სულიერი დრამის სათავე სწორეთ აქედან წარმოსდგება. მაგრამ იმავე ქრილობამ გათხარა ამოუხსებელი ორმო რუსებსა და აბხაზებ შორის.

რა მოხდა შემდეგ? აბხაზთა მიერ დატოვებული მიწა წყალი რუსებმა ნაწილი სახაზინოდ გამოაცხადეს და ნაწილი ბობოლა-ბიუროკრატებზე გააჩუქეს, მათ უმცირესობაში მოხვდენ აბხაზი და ზოგჯერ ქართველი თავად-აზნაურნი. და აი, ამ ახალმა მემამულეებმა ჩაასახლეს იქ გლეხები, უმთავრესათ სამეგრელოდან, ხოლო როცა მეთამბაქოლობამ მოიდგა ფეხი, მრავლათ გადმოსახლდენ ოსმალეთიდან სომხები და ბერძენები. რაც შეეხება აბხაზებს, ვისაც თავისი კერა არ მიუტოვებია, რუსებმა «დამნაშავე მოსახლეობა» დაარქვეს და ამის და შესაფერათ ეპყრობოდენ მათ. მაგრამ ეს არ უშლიდა მათ, აბხაზები ქვეყნის «პატრონად» და აბხაზური «სახელმწიფო» ენად გამოეცხადებინათ! აი, რა სიფლიდესთან, რა იეზუიტებთან გვაქვს საქმე.

გენო მოგვითხრობს, როგორაა სახალხო სკოლის საქმე დაყენებული აბხაზეთში. ის მხოლოდ გაკვრით შენიშნავს შინაარსის სიღარიბეს, რეტროგრადობას, რომელიც გამოიხატება დამახინჯებულ მარქსიზმის კატეხიზმის ან კიდევ უფრო ლენინ-სტალინის ცალმხრივ ფორმულების თუთუყუშივით გახეპირებაში, და ეს ხომ თანაბარია საბჭოთა მთელს საბრძანებელში. სამაგიეროთ გენოს მოაქვს არა ერთი მაგალითი, თუ როგორ მცირერიცხოვანია სკოლები არა მარტო ქართულ, არამედ «სახელმწიფო» აბხაზურ ენაზეც. საინტერესოა, ამას ვერ შერიგებინან სამურზაყანოს კომუნისტებიც და მათი დაყინებული მოთხოვნით იქ მაინც გადიან ქართულ ენაზე საგნებს. რაც შეეხება აბხაზურ სკოლებს, იქ საქმე იქამდე მისულა, რომ ბავშვებს რუს მასწავლებლებს უნიშნავენ! გაიხსენეთ მუნჯური მეთოდი ლევიცკისა: რომ აეხსნათ «ქათამმა დადო კვერცხი», მასწავლებელს უნდა მოეყვანა სკოლაში ქათამი და მის ბუმბულიდან გამოეტანა კვერცხი. მაგრამ რაც კიდევ უფრო საყურადღებოა, ეს გენოს დასკვნა—ყველა გზები რომში მიდისო. რას ნიშნავს ეს? ქართულ და განსაკუთრებით აბხაზურ ენაზე მხოლოდ პირველდაწყებითი საანბანო სკოლებია, ხოლო ხუთწლიედი, შვიდწლიედი და ცხრაწლიედი რუსულ ენაზეა. გამოდის, ამ რიგათ, რომ მეგრულ-ქართველი და აბხაზი ბავშვები იძულებული არიან სწავლა რუსულ სკოლებში გააგრძელონ, მასასადამე, რაც დედაენაზე უსწავლიათ, ისიც დაივი-

წყონ, და «რომში» გაემგზავრონ, ე. ი. გარუსების გზას დაადგენ. ეს მით უფრო, რომ ყველგან მართველობაში რუსული ენაა გაბატონებული და მოწარდთობამაც ის უნდა იცოდეს, თუ სურს რამეს გახდეს საბჭოთა დუხჭირ პირობებში.

გენო ვრცლათ ეხება, რა თქმა უნდა, აბხაზეთის სოციალ-ევრომპიურ მდგომარეობას. იგი სავალალოა, როგორც სხვაგანაც, მაგრამ არის ზოგიერთი ნიშნობრივი მხარეები აბხაზეთში. კოლექტივიზაცია, მაგალითად, აბხაზეთში არ ხარობს, მას საგრძნობი ადგილი ვერ დაუჭერია სახალხო მეურნეობაში, და ამის უმთავრესი მიზეზი ის არის, რომ გლეხობამ ისე მტრულად დახვდა ბოლშევიკების ამ ცარცვა-გლეჯის მეთოდს, რომ მზათ იყო ზედ შეკვდომოდა მას. მტერიც თმობს და სამაგიეროთ სოფროვნებს ეტანება სახაზინო ადგილებში, რომ აჩვენოს აბხაზეთს, განსაკუთრებით გუდაუთის მაზრაში, «მაგალითი». ეს ვერ სჭრის, რასაკვირველია, და სოფროვნებში თითქმის მარტო გადმოხვეწილ რუსის გლეხებს ამუშავენ მათრახით.

ჩრდილოეთიდან დამშეულ ხალხის მოწოლა, მათ მიერ როგორც აბხაზეთის, ისე მთელ საქართველოს ქალაქ-სოფლების გავსება ერთი იმ საჭირობო-როტო პრობლემათაგანია, რომელიც შეგვიქმნა მტერმა და მძიმე გართულებას გვიქადის მომავალში. აბხაზეთი ებრძვიან დამშეულ რუსების შემოსევას, და ასე წარმოიდგინეთ, ლაკობაც და მისი ყმანიც იძულებული არიან ზომები მიიღონ, რაიცა გამოიხატება მათი ასობით და ათასობით დაქერაში, ვარგისი ელემენტის («სოფროვნებში») ჩაბმაში და დანარჩენის ციმბირისკენ გასტუმრებაში. მათ აყლებენ, ცხადია, გადმოხვეწილ მეგრულ-ქართველებს, ეს, თუ გნებავთ, სტალინისებური ხერხია: თავისიანებზე დაუხოველობა, რომ ამით დაფარონ რუსების განდევნა. ამას ვერ ბედავენ ტფილისის არამზადანი და გენოც გვამცნევენ, რომ, მაგალითად, რაქსაც კი, რომელიც ცნობილია მიწის სიმციროთ, დამშეული რუსები კალიასავით მოდებიან.

მტერმა ვერ შესძლო, როგორც ვსთქვით, აბხაზეთის კოლექტივიზაციით განადგურება, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რა თქმა უნდა, რომ ხალხი კმაყოფილია. ინდივიდუალურ მეურნეობას, რომელიც იქ ქარბობს, მეორე მხრიდან მიუდგა მტერი, რაიც გამოიხატება გლეხის ჭირნახულის მთლათ მისაკუთრებაში, მრავალფეროვან მძიმე გადასახადების, მოსავლის ჩალის ფასად ყიდვის, ქსოვილ-ტკინეულების

მამისისხლათ გაყიდვის წყალობით. მთავარი საქესპორტო საქონელის თამბაქოს წარმოება არც აფრიკაშია ისე დაუხოველ პირობებში ჩაყენებული, როგორც აბხაზეთში. ამით აიხსნება, გენოს გადმოცემით, ბერძენ პლანტატორების ლტოლვა აბხაზეთიდან. მეორეს მხრივ, სიმინდი, რომელიც წინეთ ბევრი გაქონდათ უცხოეთში, დღეს სამჯერ მეტი გააქვთ იმ განსხვავებით, რომ თითქმის მუქთათ ართმევენ და გლეხს კი, მის მომწვეს, მშიერს სტოვენენ.

სრულიად არაჩვეულებრივი სახე მიიღო შინაურ ცხოველის გატაცებამ აბხაზეთში, მტერი არ ზოგავს არც მომუშავე, არც რძიან საქონელს, ან ცივინებს თვალცრემლიან გლეხობას და გზავნის ბითუმობით რუსეთში. სწორეთ ამ ნიადაგზედ მოხდა გლეხთა მძლავრი აჯანყება 1932 წელს, რომელსაც გენო აგვიწერს. ეს აჯანყება დამარცხდა, ისე როგორც ქალეების აჯანყება 1931 წელს, მაგრამ მან თავისი დადი დაასვა ხალხის და ხელისუფლების ურთიერთ დამოკიდებულებას, რომლის ნიშანია სრული შეუთრეგებლობა, სამკვიდრ-სასიცოცხლო მტრობა.

დასასრულ, არ შეგვიძლია არ მოვიტანოთ გენოს ერთი ფრაზაც: «აბხაზეთი მაივც უკეთეს მდგომარეობაშია, ვიდრე საბჭოთა კავშირის სხვა კუთხეები». ეს ჩვენც გვჯერა და, როგორც იტყვიან, ზოგი ჭირი მარგებელია, ნიჭიერი აბხაზი მარჯვეთ სარგებლობს მოსკოვის ტბილის კვერის ტაქტიკას და ბედავს ბევრ ისეთ რამეს, რომელიც სასიფათოა, მაგალითად, მისი მოძმე ქართველისთვის. ამის მჭერა მეტყველი მაგალითია გენოს ცნობა, რომ გლეხთა აჯანყების ჩაქრობას არც ერთი დახვრეტა არ მოყოლია, ციხეები აავსეს, მართალია, ხალხით, მაგრამ მხოლოდ მცირე ნაწილი გადაასახლეს და დანარჩენი გაანთავისუფლეს. უფრო ლაკობას წყალობით და ესეც გვჯერა, რადგან მან ამით მხოლოდ თავი გადაირჩინა გარდაუვალ შურისძიებისაგან.

ჩვენ მხოლოდ ზოგიერთი მთავარი ადგილები გავაშუქეთ გენოს შესანიშნავ წერილებიდან და გვინდა დავეჯერდეთ და ორივე ხელი მოვაწეროთ მისივე დასკვნას: «აბხაზეთში იცის, რომ მისი განთავისუფლება მჭიდროთ დაკავშირებულია საბჭოთა კავშირის სხვა კუთხეების განთავისუფლებასთან; მან იცის, რომ მისი ბედი მჭიდროთ დაკავშირებულია საქართველოსთან, ე. ი. იმ ერთან, რომელთანაც მას აერთიანებს თავისი წარსული, აწმყო და მომავალი და რომლის ერთ მნიშვნელოვან ნაწილს თვითონ წარმოადგენს».

საქართველოს საეკონომიკური და სოციალური-საბუნებისმეტყველო განვითარება

დღეს მსოფლიოში დიდი ფაქტორია. გუშინდელი მოსისხლე მტრები ერთმანეთს ძობას ეფიცებოდნენ, ხოლო ყოფილი გულითადი მეგობრები კბილებს იღესავენ და ერთმეორეს თავსლაფს ასხამენ. ერთნი «აღტაცებაში» მოდიან გუშინდელი მტრის «კეთილ განზრახვებით» და ისტორიაში გაუგონარი «მიღწევებით». მეორენი კი დანაწილებით ემუქრებიან. ჭეშმარიტად, გუშინდელი დღე არა გავს დღევანდელს. მტერი მოყვრად შეცვლილა და მოყვარე მტრად. ამ ორმტრიალში, მსოფლიო ძალთა გადაჯგუფება-ჭიდილში საქართველოს საეკონომიკური განვითარება, როგორც ორგანიზაცია, ფორმა ქართველი ერის სუვერენობისა ევროპაში.

რაშია საქმე? ნუ თუ მოსკოვი—ეს ევროპის გუშინდელი «ბუნტარი»—ისე გაძლიერდა, რომ მან ევროპას და, კერძოდ, საფრანგეთს თავისი ნება მოახვია?

— არა. ასე კითხვის დასმა უმართებულო იქნებოდა. ჩვენ ვფიქრობთ საქართველოს საეკონომიკურ ბედი მოსკოვში ან პარიზში კი არ გადაწყდა, არამედ ბერლინში და ტოკიოში. ცხადია, ეს პასუხი ბევრს გაუკვირდება, როგორ, ბერლინი და ტოკიო აქ რა შუაშია. განვიხილოთ არსებითად.

ყველამ იცის: შტრეზმანის გერმანია მოსკოვის ევროპული ყავარჯენი იყო. ამ ყავარჯენმა 10-12 წლის განმავლობაში რუსეთი ნელ-ნელა, ჩოჩით ევროპის კონცერტში შეიყვანა. იმ ხანად მოსკოვს ეს უფრო ნაკლებად სჭიროდა, ვინემ გერმანიას. ამ უკანასკნელის ხელში მოსკოვის დათვი ძალიან სარფიანი და მჭრელი კოხირი იყო. ის ევროპას მოსკოვით ემუქრებოდა და ამ მუქარაში რეალურ შინაარსსაც სდებდა, რუსეთში თავის ტექნიკურ ძალებს გადასარღობით იქ სამხედრო ძლიერების შესაქმნელად. სამაგიეროდ ამ მდგომარეობით მოსკოვიც სარგებლობდა და ასე შესაძლებელი იყო ვერსალის ზავს და იქიდან გამომდინარე შედეგებს ურტყამდა. არ შეიძლებოდა ევროპას და, პირველ რიგში, საფრანგეთს ამისთვის ანგარიში არ გაეწია. მისი სასიცოცხლო ინტერესები მოითხოვდნენ ბერლინის და მოსკოვის განქორწინებას. ეს მისწრაფება წითელ ზოლივით მისდევს ომის შემდგომ მთელ ევროპულ პოლიტიკას და დაუსრულებელ კონფერენციებს. მაგრამ უკანასკნელ ხანებამდე ეს მოსკოვური იარაღი გერმანიას ვერ გამოსტაცეს. და აი ერთ მშვენიერ დღეს შტრეზმანის გერმანია იცვლება პიტლერის გერმანიით. მოსკოვ ბერლინის მეგობრებას წყალი უდგება. ცნობილია დიქტატურა დიქტატურის მტრია. ამ ფსიქოლოგიურ მომენტით ისარგებლა პარიზმა, და «გულითად მეგობრების» გაყრას შეუდგა. მისი მიზანი იყო დაეჭირა გერმანიის ადგილი მოსკოვის პოლიტიკაში და ეს უკანასკნელი თავის მხარეზე გადმოეყვანა. ეს არც ისე ადვილი საქმე იქნებოდა, რომ მოსკოვს სხვა გასაჭირი არ ქონოდა. მისი გასაჭირი კი ყველასთვის ცნობილია. შიგ შიგ-

შილი და მილიონიანი მასების უკმაყოფილება, ხალხის გაღატაკება და უკიდურეს სასოწარკვეთილებამდე მისვლა; ხოლო გარეთ კი იაპონიის ამოძრავება, შორეულ აღმოსავლეთში ბარონ ტანაკას ანდერძის შესრულების ცდა და რუსეთის ციმბირზე თავის პრეტენზიების გამოქვავება,—ყველაფერი ეს მოსკოვს სასიკვდილო საფრთხის წინაშე აყენებს. თოფის წამლის სუნი რუსეთის აღმოსავლეთის მხარეებში ტრიალებს. დღეს არა ხვალ თოფი უნდა გავარდეს. ამას დაუმატეთ საფრანგეთის სარდაფის ოქროები, საიდანაც ხელსაყრელ შემთხვევისას «საბაველ კაპიტალისტების» ნასუფრალის მიღება შეიძლება და ამით ცოტათი მაინც თავის ბატონობის გახანგრძლივება დაამონებულ ხალხზე. ასეთ პირობებში, სხვადასხვა მოტივებით, მოსკოვის და პარიზის ინტერესები ერთმანეთს მოხვდა, შეეგუა და შეეხმატკბილა. ცხადია, გერმანიის დაკარგვით და აღმოსავლეთით საფრთხის მოდგომით მოსკოვს ახალი მოკავშირე უნდა ეძებნა, დასავლეთის საზღვრები უზრუნველყო, რომ ამით იაპონიასთან ხელი გახსნილი ქონოდა. ამ მდგომარეობით ისარგებლეს საფრანგეთის მეთაურებმა და თავისი ქვეყნის საქმე მათის ფიქრით მოაგვარეს.

სამართლიანობა მოითხოვს აღვნიშნოთ, რომ პირველად საფრანგეთთან და მეზობელ ქვეყნებთან დახვედრებზე მოსკოვი ალაპარაკდა. აქედან აშკარა იყო, რომ კრემლის ბატონებს რალაცა ძილს უფრთხობდა, კატასტროფის მოახლოვებას გრძნობდნენ. სამწუხაროდ პარიზი ისე გაიტაცა მოსკოვის მეგობრობის სურვილმა, რომ კრემლის ეს სულიერი შფოთვა ვერ შეამჩნია და მოსკოვის თავდაუსხმელობის წინადადებანი გულწრფელ და ხალას ჭეშმარიტებათ მიიღო.

ზავი შეიკრა. ერიოც «აღტაცებულისა» ბლომევიკების «მიღწევებით», დამონებულ ხალხების სისხლით და ძვლებით აგებულ გიგანტებით. მაგრამ ყველაფერი ეს გრძნობებია, რეალობა კი გარეშე მდებარე ობიექტია. ეს უკანასკნელი კი ბერლინის და ტოკიოს პოლიტიკაში იხანება. გერმანიის ამბებმა საფრანგეთი შეაშფოთა და მოსკოვში გააქცია. ხოლო ტოკიოს საფრთხით მოსკოვი გუშინდელ «წყველ კაპიტალისტებს» მკერდში ჩაახვია.

აი ამ ორმტრიალში საქართველოს საეკონომიკური, როგორც დაწესებულება, გაიჭყლიტა. ის მსხვერპლად შეიწირა საერთაშორისო ჭიდილმა და ინტერესებმა. ის აღარ მოქმედებს კვლავინდებურად საფრანგეთის ტერიტორიაზე. მაგრამ ვერც იმას ვიტყვით, რომ ის გაუქმდა იურიდიულად. საინტერესოა, რომ საეკონომიკური გაუქმებზე არსად არაფერი სწერია—არც საფრანგეთ-საბუქოების თავდაუსხმელობის პაქტში და არც საგარეო სამინისტროს აქტებში და განკარგულებებში. ის მოიხსნა, ასე ვსთქვათ, მექანიკურად, როგორც შედეგი ახალი საერთაშორის-



სო სიტუაციის. საერთაშორისო თვალსაზრისით დარჩა საქართველოს სუვერენობა, დამოუკიდებლობა ხელუხლებელი, უცვლელი და სამიდღემჩიო. ის კვლავ აზის მოსკოვის დათენილ სხეულს მდრენელ ჭიად, სასიკვდილო განაჩენად. ის მისი «აქილესის ქუსლია». ამ ჭუჭრუტანის დაცვა არ შეუძლია არავითარ პაქტებს და არც მოსკოვის მაღალ სტუმართა «აღფრთხილებას».

ამის თავდება მსოფლიოს დღევანდელი ვითარება, აღსავსე გასაოცარი სიურპრიზებით, მოულოდნელი ამბებით, ძალთა ახალი გადაჯგუფებით. ისტორია მეორდება. ევროპა ომის წინანდელ განწყობილებას უბრუნდება. დაზავების მაგიერ ყველა ხმაღს ლესავს და მომავალ ამბებისათვის ემზადება.

საბჭოებიც ამ გადაჯგუფებაში ვითომც განსაზღვრულ პოზიციას იჭერს. ახალი მეგობრებიც მას ერთგვარ ძალათ თვლიან. ვითომ არ ცდებიან ანგარიშიში? ამ კითხვაში საფრანგეთი ორდაა გაყოფილი. ერთი ალტაცებულნი, მეორენი—თავშეკავებული და სკეპტიკურნი. ვის მხარეზეა სიმართლე? ჩვენ გვგონია მართალი არიან მეორენი. უკანასკნელთა მხარეზეა რუსეთის დღევანდელი სინამდვილე, მისი საშინელი საშინაო ვითარება.

ასეთია არსებული განწყობილება. საქმარისია ის შეიცვალოს, რომ მექანიკურად აღსდგეს საქართველოს ჩაუღრ და მასთან ერთად საქართველოს დამოუკიდებლობაც.

კომანდო.

პ რ ე ჯ . რ უ ზ ვ ე ლ ტ ი ს დ ი დ ი ე მ ს ე პ ი რ ი მ ე ნ ტ ი


მთელი კულტურული კაცობრიობა, განსაკუთრებით მისი მოაზროვნე ნაწილი, დიდი ყურადღებით უცქერის რუზველტის გაბედულს ეკონომიურ ექსპერიმენტს, რომელსაც სრულიად სამართლიანად უწოდებენ რევოლუციონურს. ეს იმიტომ, რომ როცა ყოველგან სხვა ქვეყნებში უმაგალითო ეკონომიური კრიზისით შეშინებული, პანიკით გზაკვალ დაკარგული ბურჟუაზია დაეძებს ხსნას წარსულში, მარჯვნიდან, ე. წ. «მავარი პიროვნების» უხეში მუშით, — რუზველტის ამერიკა მოელის ხსნას მარცხნიდან. შეერთებული შტატები — ტიპური კაპიტალისტური ქვეყანაა, განუსაზღვრელი კონსერვატივის სამფლობელო, სადაც სოციალისტური მოძრაობის მსგავსი რამ მიკროსკოპით იყო საძებარი, მამასადამე მის ბურჟუაზიას არ აწუხებდა არავითარი სოციალური «ტვირთი» (სოციალური დაზღვევა და სხვა) და რევოლუციონურ-კლასური წინამდევობა, — ეს ამერიკა ერთბაშად და რადიკალურად ზურგს აქცევს ძველ ეკონომიურ სისტემას — ინდივიდუალურს კაპიტალიზმს და ემპირიული წესით კავავს ახალ გზას, რომლის დამახასიათებელი თვისებებია დაგვიძლი ეკონომიკა, სამართლიანი სოციალურ ნიადაგზე და პოლიტიკური დემოკრატიის ჩარჩოებში. იდეოლოგიური წყაროები ასეთი ცვლილებისა ჩვენ უკვე განვიხილეთ წინა ნომრებში^{*)}. ესლა მხოლოდ გავახსენებთ მკითხველს, რომ მსოფლიო ეკონ. კრიზისის მსვლელობა არც ერთ ქვეყანაში არ არის ისე მწვავე და კატასტროფული, როგორც შეერთებული შტატებია, სწრაფი რაციონალიზაციის და ტექნიკური პროგრესის გამო.

შეერთებული შტატების არც ერთი პრეზიდენტი არ ყოფილა ისეთ რთულ ისტორიულ მდგომარეობაში, როგორც რუზველტია, გარდა, შეიძლება, ლინკოლნისა. მისი უპირატესობა ისაა, რომ არ არის ცალმხრივი ორიენტაციის კაცი, როგორც ჰუვერი. ეს უკანასკნელი მწარმოებელთა წრის წარმომადგენელი იყო, მათი იდეოლოგიის ფარგლებში გამოხატავდა თავის პრეზიდენტობის უკანასკნელი სამ წელიწადში მრავალნაირი ზომები კრიზისის წინააღმ-

დეგ, მაგრამ ამოდ. რუზველტმა თავის თანამდებობას მოუტანა, გარდა სხვა მაღალი პირადი თვისებისა, დიდი პოლიტიკური გამოცდილება, მოქნილი ტაქტიკოსის ნიჭი, სრული კლასიური ობიექტივობა, კოლექტივის უზენაესი ინტერესების უსაზღვრო ერთგულობა, მეტი არაფერი, არავითარი წინასწარი «დამხსნელი» გეგმა, თეორია მას თან არ მოყლია; ის, რასაც დღეს ეძახიან რუზველტის ექსპერიმენტს, მის გეგმას, ფაქტიურად ეკუთვნის მის ე. წ. «ტვირის ტრესტს», ე. ი. მასთან დაარსებულ მეცნიერულს არა ოფიციალურ კაბინეტს, რომელში შედიან გამოჩენილი მეცნიერები და პრაქტიკოსები (სხვათა შორის ცნობილი პროფ. მოლეი, ტუგვილ და ფრანკფურტერი). ეს დეტალიც თავის თავად დამახასიათებელია: ბელადის სიდიდე სხვათა შორის იმითაც განიზომება, თუ რამდენად აფასებს თანამშრომლობას, და რა ფორმაცისა არიან მისი თანამშრომლები. რუზველტის ექსპერიმენტის დიდი ისტორიული ღირებულება იმაშია, რომ ის პირველი ცდაა სოციალური დიქტატორის, ფართო ეკონომიურ ბაზაზე დამყარებული პოლიტიკური დემოკრატიის ჩარჩოებში ჩაყენების, დაგვიძლი ეკონომიკის დემოკრატიასთან სინტეზით. სხვაგან კი დამარცხებული ლიბერალური კაპიტალიზმის ადგილს ეტატიზმი იჭერს, დემოკრატიის ადგილს — დიქტატურა.

პირველი ნაბიჯი რუზველტის საქმიანობის იყო საბანკო სისტემის რეფორმა და ოქროს სტანდარტის გაუქმება, ე. ი. ოქროს მაგივრად ქალაქის ფულის შემოღებით — ზომიერი (ეტაპობით) ინფლიაცია — ფულის გაიაფება, ფასების აწევა. ამის შემდეგ შეუდგა წარმოების დაგვიძმას, რაც ნორმის მხრით გამონატულია ახალ კანონში — «ნაციონალური ინდუსტრიის აღორძინების აქტში». დაგვიძმვა ხდება არა ზევიდან, ბრძანებითი გზით, არამედ შეთანხმებით; ინდუსტრიამ თვითონ უნდა მოახდინოს თავისი ორგანიზაცია, თითველ სამრეწველო დარგში კავშირის, სინდიკატების შექმნით, მთელი მრეწველობის სინდიკატებად გაყოფვა აგებულია არა წოდებრივ პროფესიონალურ პრინციპზე, როგორცაა კორპორატიული ფაზიზმის ქვეყანაში, არამედ ტექნიკურ პრინციპზე: ეკონომიურ კოლექტივის ერთეულად ითვ-

^{*)} იხ. «დამ. საქ.» № 90, 91 («რა გზებით?»)



ლება არა პროფესია, არამედ მთელი დარგი ინდუსტრიალური, ვერტიკალურად დაწყობილი, ე. ი. დაწყებული ნედლი მასალის დამუშავებით, გათავებულ ამა თუ იმ საქონელის წვრილი ვაჭრობით. რომელშიაც შედიან როგორც მუშა მოსამსახურენი, ისე მრეწველიც. ასეთმა სინდიკატებმა თვითონ, შეთანხმებით, განსაზღვრულ ჩარჩოებში უნდა შეიმუშაონ წესდება—კოდი, რომლის ძირითად მუხლებს წარმოადგენს მაქსიმალური სამუშაო დრო, მინიმალური ხელფასი, საწარმოო კვოტა. ვაყიდვის პირობები და სხვა. ეს კოდი მთავრობამ უნდა დაამტკიცოს, და პრეზიდენტის ხელმოწერის შემდეგ ეს კერძო პელმეკრულობა ხდება კანონათ, რის აღსრულება ევალება სათანადო სახელმწიფო ორგანოებს, სათანადო სანქციებით. თუ რომელსამე დარგში შეთანხმება არ მოხდა,—მას ზევიდან მოახვევენ თავს წესდებას. მთავრობა შემოიღებს სამრეწველო ლიცენზიებს (ნებართვა), რომლის ღირსი გახდება მხოლოდ ის, ვინც კოდს ხელს მოაწერს. ასე რომ სინდიკატებათ შეკავშირება სავალდებულოა, მის გარეშე არავინ რჩება და ეს ზედმიწევნით ინდივიდუალისტურ ქვეყანაში, სადაც კარტელები და ტრესტები კანონით აკრძალული იყო. ხსენებული კანონი ითვალისწინებს ასეთი კავშირების ადმინისტრაციულ კოორდინაციასაც, ამ მიზნით ცენტრალური საგვემო ორგანოა დაარსებული. საკონტროლო დაწესებულებას სათავეში უდგას სამრეწველო დიქტატორი, რომელიც პირდაპირ ექვემდებარება პრეზიდენტს, და მუშაობს ცენტრალურ საგვემო ორგანოსთან შეთანხმებით. ასეთ დიქტატორად დანიშნულია ლენგრალი ჯონსონი, ექვსასი ადგილობრივი რწმუნებულებით, რომლებიც თვალყურს ადევნებენ მიღებული ნორმების ასრულებას. ასეთია ორგანიზაციული ფორმები. რა მიმართულების შინაარსი იქნება მათში ჩადებული, ამის რამდენიმე წარმოდგენას იძლევა რუზველტის უკანასკნელი მიმართვა, სადაც ის სხვათა შორის ურჩევს მრეწველთ 35 საათის მუშაობას და 14 დოლარს კვირაში მუშებისათვის; 40 საათს და 15 დოლარს მოსამსახურეებისთვის.

რაც შეეხება მიწათ მოქმედებას, ამ მიზნით გამოცემული აგრარული კანონები სავალეებას აძლევენ რუზველტს სხვათა შორის შეამცირებინოს ფერმერს (გლეხს) ხორბლის მოყვანა 25 პროც., მხოლოდ ვინც დასტოვებს თავის მიწის მეოთხედს დაუთესავად, მიიღებს პრემიას, საჩუქარს (ეხლანდელი და წინანდელი (1909-1914 წლ.) ფასებში განსხვავებას შემოსავლის ხუთი მერვედის ანგარიშით). ამ პრემიას იხდის სათანადო სამრეწველო დარგი, აგრარული პროდუქტის გადამმუშავებელი—ჩვენ მაგალითში წისქვილი. ასეთივე ნორმა დაწესებული ბამბისათვის.

სიტყვა რომ არ გაგვივარდებოდეს, მიზანი და ძირითადი სქემა რუზველტის გეგმის პირველი საფეხურისა შემდეგია: 1) ინფლიაციით—ფულის გაიაფებით (ჯერჯერობით გამოიკა სამი მილიარდი ქალაქის დოლარი)—გაადვილება გლეხთა და მრეწველთათვის ვალების გადახდის; ამით შემცირება პროცენტუალური კვოტის მუდმივი საწარმოო კაპიტალისა (არანორმალურად გაბერილის ტექნიკური რაციონალიზაციის გამო), რომელიც ლოდინით აწვა წარმოებას, ქმნიდა მას საზარალოთ, ფასებს უზრუნველყოფდა (მთელი მოგება უნდებოდა ვალების სარგებლის გადახდას). 2) საფინანსო საკრედიტო ორგანიზაციებით—იაფი საექსპლუატაციო კაპიტალის მოწოდება მწარმოებელთათვის. ეს ისევე ინფლიაცია—ობლიგაციების ხელგაშლილი ლომბარდით და ვექსილების ადვილი ესკონტით ფულის გამრავლებად, მისი ტრილის აწევა. 3) აგრარული კანონებით—შემცირება მთავარი აგრარული პროდუქტების წარმოების, ამით ხელის შეწყობა «სტოკების» დაკლვისთვის, წარმოების და მომხმარებლის შორის წონასწორობის აღდგენა და ფასების აწევა. 4) ნაციონალიზური ინდუსტრიის აღორძინების კანონით—სამრეწველო წარმოების შემცირება; სამუშაო დროს შემცირებით და ხელფასის აწევით უმუშევართა ლეგიონების ლიქვიდაცია და შინაური ბაზრის მყიდველობითი შესაძლებლობის აწევა. ასეთივე მიზნით გადადებულა საში მილიარდი და 600 მილიონი დოლარი საზოგადო მუშაობის მოსაწყობად.

წინანდელ წერილებში კრიზისის ანალიზმა ჩვენ დაგვანახა, რომ მთავარი დამახასიათებელი თვისება თანამედროვე სტრუქტურალური ეკონ. კრიზისისა არის საერთო ვალატაკება დიდი სიმდიდრის, ე. ი. სწრაფი რაციონალიზაციის და ტექნიკური პროგრესის გამო ერთი მხრით გრძელდება აუარებელი საქონლის «სტოკები», მეორე მხრით კი მათი მომხმარებლების ფართო წრე დღითი დღე ლატაკდება; ასეთი ანტაგონიზმი მიიქანებს კაცობრიობას სოციალური კატასტროფისაკენ. რუზველტის მოქმედება მიმართულია სწორეთ. მსოფლიო სენის ამ ორივე ფრთის წინააღმდეგ; მისი ტერაპია (მკურნალობა) დამყარებულია სწორ ობიექტურ დიაგნოზზე.

მაგარამ ეს არ კმარა იმისთვის, რომ სრულად წარმოვიდგინოთ სურათი რუზველტის მდგომარეობისა, მისი პრობლემეტიკა სრული თავისი სიგრძე სიფართოთ, რამდენათ რეალური და ცხოველყოფილია მისი ექსპერიმენტი და გადმოსაღებია სხვა ქვეყნებისათვის. ამისათვის საჭიროა გავითვალისწინოთ ეკონომიური წრე, რომელშიც ხდება ეს ექსპერიმენტი, მისი სტრუქტურა, ეროვნული ფსიქოლოგია, ისტორიული ტრადიცია, გეოპოლიტიკა და სხვა. შევეხებით მოკლეთ ამ მხარეებსაც.

თუ დღეს გაბატონებულია მთელ მსოფლიოში ტენდენცია აუტარკიის, ეკონომიურ განცალკევების, შეიძლება ითქვას, რომ ამისათვის ყველაზე უფრო ხელსაყრელი პირობები აქვთ სწორეთ შეერთებულ შტატებს. მათ გააქვთ საზღვარ გარეთ მხოლოდ 7% ეროვნული სიმდიდრისა, როცა სხვა ინდუსტრიალური ქვეყნები დამოკიდებული არიან უცხო ბაზარზე საშუალოდ წარმოების მესამედით: დიდი ბრიტანეთი—25 პრო., საფრანგეთი—24 პრო., იტალია—27 პრო., დანია და ბელგია—51 პრო., ჩეხოსლოვაკია—33 პრო., გერმანია—20 პრო., პოლანდია—34 პრო., ავსტრია—36 პრო., იაპონია—21 პრო. და სხ. სახელმწიფოს, რომლის პროდუქციის მესამედი დამოკიდებულია საზღვარ გარეთელ. მსოფლიო კონიუნქტურაზე, არ შეუძლია უმტკივნეულოდ, შინაური ზომებით ეროვნულ-

ლი ეკონომიკის რეგულიაცია, აღორძინება. შეერთებულ შტატებს კი გააქვთ მარტო 7 პრ., ისიც ამ უმნიშვნელო კვარტიდან 70 პრ. ნედლი და ნახევრად ნედლი მასალა, მხოლოდ 30 პრ. ძვირფასი, ინტენსიური მუშაობის ფაბრიკატები—ავტომობილი, საკანცელიარო მანქანები და სხვა. მისი გეოპოლიტიკური სტრუქტურა მრავალნაირია; მისი კლიმატური პირობები ხელს უწყობენ ვეგეტაციის სხვადასხვაობას. ყველა ეს ფაქტორები შესაძლებლად ხდინან, რომ შეერთებულმა შტატებმა აწარმოონ დამოუკიდებელი ეკონომიური პოლიტიკა, დანარჩენი მსოფლიოსთვის ანგარიშის გაუწევლად. სწორეთ ამის შეგნებით და აქედან გამომდინარე ეკონომიური გეგმით აიხსნება სხვათა შორის რუხველტის მოქმედება შინ და ლონდონის კონფერენციასზე, და ამიტომაც ზოგიერთი პოლიტიკოსების მხრით მისი წყველანგინება უსაბუთო და დილექტანტურია.

მეორე, ფრიად საყურადღებო მხარე რუხველტის აქციისა არის ფსიქოლოგიური: აღჭურვილი განსაკუთრებული, დიქტატორული ძალა-უფლებით, როგორც არც ერთს პრეზიდენტს აქამდე არ ჰქონია, რუხველტი თავის რევოლუციური გარდაქმნის საქმეში არ მიმართავს (ჯერჯერობით მონაც) ძალადობას, ბრძანებას და სანქციების გზას, არამედ თვითეული მოქალაქის გრძობას, გონებას, თვითმოქმედებას, პატიოსნებას, და ეს მაშინ, როცა თავის რეფორმებით ეხება ისეთს სფეროს, სადაც ადამიანი მაქსიმალურად უახლოვდება პირუტყვს,—უხეში ეგოიზმის, მოგების სფეროს. ესეც სპეციფიკური ამერიკული მოვლენაა: ამერიკელი, რამდენად ის ანგლო-საქსონურ შთამომავლობისაა, ზედმიწევნით მორწმუნეა, უყვარს მქადაგებელი, მორალისტურად განწყობილია. ვაიხსენებ დიდი ომი: როცა ამერიკელი მიდიდა თავის უნებთ სასაკლავოზე, ალტრუიზმი ამის უკანასკნელი მოტივთაგანი არ იყო: ის დარწმუნებული იყო, რომ იცავდა კულტურას და ჰუმანურ დემოკრატიას ტევტონებისაგან. მორალური ძალდატანება ომის დროს ისე ძლიერი იყო, რომ 21 წლის ახალგაზდა იქ ვერ გამოჩნდებოდა საზოგადოებაში, თუ დაქრილი ან შვებულებაში არ იყო. თუ პიტლერიზმის და კომუნიზმის პოლიტიკურ-სოციალური იარაღი ტამბახაა, რუხველტის—დამარწმუნებელი სიტყვაა, მიმართვებით და ლოლიკით მტკიცება, რომ მისი გზა ყველასათვის მსხნელი და სასარგებლოა. ამაშია დღეს მისი ძალა, ხვალ კი შეიძლება ეს სისუსტედ გახდეს. ეს იმიტომ რომ მას ზურგს არ უმავრებს ორგანიზაციულად მწყობრი, კლასიურად შეგნებული მუშათა კლასი; შეერთებული შტატების განსიკუთრებული ისტორიული და ეკონომიურ პირობების გამო, იქაური მუშა გაქვლენილია წვრილბურჟუაზული ფსიქოლოგიით, თუმცა მეორე მხრივ ისიც უნდა მივიღოთ მხედველობაში, რომ ეკონომ. კრიზისის კატასტროფულ ტემპს სწორეთ იქ შეუძლია შთაბეროს ფართო წრეებს ის რევოლუციური სული, რომლისთვის სხვა დროს საჭირო იქნებოდა რამდენიმე ათეული წლის პროპაგანდა. მართალია, რუხველტის უკანასკნელმა მოწოდებამ დიდი გამოძახილი ჰპოვა: ათი ათასმა მრეწველმა თანხმობა

აღუთქვა მის გეგმას, მაგრამ ეს მხოლოდ პირველი საფეხურია მისი აქციისა, რაც უნდა რადიკალურად არ ეხვეწებოდეს იგი მსოფლიო ბურჟუაზიას, რომელმაც უკვე მონათლა რუხველტი ზოლშევიკად. ფოლადის და ნავთის «მეფეებში» უკვე ასწიეს თავი რუხველტის წინამდევ. არც იმით იცვლება არაფერი, რომ მისი აქციის პირველ ეტაპმა უკვე გამოიწვია საგრძნობი გამოცოცხლება; კრიზისის და კატასტროფის თავიდან ასაცილებლად საჭირო გახდება, რომ სწორად აღებული გზით შემდეგი შესაფერისი ნაბიჯები იქნას გადადგმული; თუ არა და, ის გაივლის როგორც სანმოკლე, გარდამავალი კონიუქტურა, კრიზისის უფრო მწვავე ფორმებში დაბრუნებით. სწორეთ ამ მეორე, პირველიდან ორგანიულად გამომდინარე ეტაპში მოელის რუხველტს იერიში სპეკულიაციის, მსხვილი ფინანსურის კაპიტალის და მსხვილი ინდუსტრიის. ეს სიმავრეები აღებული უნდა იქნეს, წინსვლა რომ შესაძლებელი გახდეს. უკან დაბრუნება ხომ დაღუპვაა. ამნაირად ჩვენ ისევე ძველი «წყეული» პრობლემების კატეგორიის საკითხის წინ ვდგებით—რევოლუცია თუ ევოლუცია.

რა თქმა უნდა, რასაც რუხველტი დღეს ანხორციელებს, სოციალიზმი არაა, რამდენად საწარმოო საშვალების კერძო საკუთრება და ზედმეტი ღირებულება რჩება; არც რუსულ სახელმწიფო კაპიტალიზმთან აქვს არაფერი საერთო, ვინაიდან რჩება კერძო საკუთრება და ეკონომიურად თავისუფალი მოქმედება, თუმცა განსაზღვრულ ფარგლებში. ის ერთგვარი სინტეზია კერძო და საზოგადო ინიციატივის, დაგეგმილი კერძო კაპიტალისტური ეკონომიკა, ფართო სოციალურ ნიადაგზე. ლოდიკური განვითარება რუხველტის მიერ აღებული გზისა შეგვიძლია სქემატურად წარმოვიდგინოთ როგორც ინტენსიური მრავალი ფორმით ცდა სოციალური უკიდურესობის დაახლოებისა, სოციალური პროდუქტის უმრავლესობის სასარგებლოდ გადანაწილებისა, წარმოების მოხმარებლობისთვის, ადამიანის მოთხოვნილებებისთვის დამორჩილებისა, მათ შორის წონასწორობის აღდგენისა, ადამიანის ეკონომ. და პოლიტიკურ სუბიექტთა გახლმინა. რა ვუყოთ რომ ეს უფრო რთული, ეკლანი გზაა, გონების და ნებისყოფის მეტ კონცენტრაციას ითხოვს. მასთან შედარებით რა იოლი, მარტივი და პრიმიტიულია დიქტატურა. მისი «ტვინის ტრესტიკი» მსუბუქია, შედეგებიც ისეთია. აბა რა თავსატეხია მართელობა ტყვიით და შიშნით. დროგამოშვებით სხვადასხვა სახის ინექციით: ხუთწლიდის, სამავალითო პროცესების, ოკენის ჰაეროპლანების ესკადრით გადაფრინვის, ებრაელთა აწიოკების და სხვ.

რომ რუხველტი გაავრძელებს აღებულ გეზს, ამის თავებია სოციალური ჩიხი, რომელსაც მიაღება კაპიტალისტური რეჟიმი, მრავალ მხრივ მწიფე ობიექტური პირობები, მეორე მხრით კი მისი «სოციალური ლაბორატორია», ექსპერიმენტალური მეთოდი. თვითონ განაცხადა; რომ იმუშავებს გარჩევითი და შეცდომების გამორიცხვის მეთოდით, მით უფრო რომ ყოველ შემთხვევისთვის მას ქვაც უდევს ჯიბეში, გინიცობაა, თუ სიტყვამ არ გასჭრა. ობიექ-

ქტურად, რუხველტის მიერ აღებული გზა ხომ სოციალური დემოკრატიის გზაა, თუმცა აზროვნულად ულტრა კონსერვატორულ შეერთებულ შტატებში სიტყვა სოციალიზმის პირიდან წარმოშობა უზღველობაა. ჩვენ ამით არ გვინდა, რუხველტის ცდას დეტერმინისტული ბეჭედი დავარტყათ, რომ ყველაფერი თავის თავად მოხდება: ვამბობთ მხოლოდ, რომ ამისათვის ყველა წინასწარი პირობებია მოცემული, გარდა ერთისა, ჯერჯერობით მინც—ძლიერი, შეგნებული სოციალური წრისა, რომელზედაც შეეძლოს მას დამყარება ვადამწყვეტ მომენტში.

ჩვენი მიზანი იყო ობიექტური ანალიზი რუხველტის გადამტეხ ეკსპერიმენტის, მისი შინაგანი დასაბუთება და რეალობის დონეს შეფასება, რამდენად მისაბაძია ის სხვა ქვეყნებისათვის, ვინაიდან ასეთი ვეებერთელა და მოწინავე ქვეყნის მაგალითი უგაველენოთ არ დარჩება დანარჩენ მსოფლიოსთვის. მაშ ანალიზი, არა წინასწარმეტყველობა; რამდენად საქმე შეეხება უკანასკნელს, ვთავაზობთ გერცენის სიტყვებით: «ისტორია იმპროვიზაციაა, იმიტომად მეორდება; ის სარგებლობს ყოველნაირ მოულოდნელობას, შემთხვევას; ურაკუნებს ერთსა და იმავე დროს ათას კარებს; რომელი გაიღება, ვინ იცის?»

მ. უ.

საბჭოთა კავშირის ცხოვრებიდან

ანტ ადვილია.

«იმუშაო პატიოსნათ და მოუარო კოლმეურნეობის ქონებას, არც ისე ძნელი საქმეა»-ო, სიტყვა სტალინმა კომუნისტების ყრილობაზე. აღმოჩნდა, რომ საბჭოთა კავშირის სინამდვილეში ეს არც ისე ადვილია. პირიქით, იგი უძნელესზე უძნელესი შეიქნა. ვერ მოუარეს ძველი რეჟიმის დროს მკვიდრ ნიადაგზე დამდგარ რკინის გზის ტრანსპორტს და სხვას. მით უფრო ძნელი მოსავალი შეიქნა კოლექტივიზაციით ქმნილი სოფლის მეურნეობა. თუ რა უთავბოლობა და გაფორიანება ამ ნიადაგზე რუსეთსა და უკრაინაში, ეს ჩვენმა მკითხველმა რუსული გაზეთიდანაც იცის. ხოლო თუ როგორი ვითარება არის ამ ხანით ჩვენს სოფელში. შექმნილი, ამას ქვემოთ მოყვანილი მაგალითი გვიჩვენებს.

ტფილისიდან დაახლოებით 30 კილომეტრზე ძვეს სოფ. საგარეჯო. იგი გარეთ კახეთში ერთ საუკეთესო თემით ითვლება. ჯერ კიდევ მეფის დროს ჰქონდა კარგი სკოლა, კომპარტივი, საკრედიტო ამხანაგობა და სასოფლო მეურნეობაში მანქანების თანდათან იკიდებდა ფეხს. არც ბუნებას ვამოუჩენია მისადმი სიძუნწე—მოდის კარგი ღვინო, პური და ხილი. ამიტომ გლეხობა აქ შედარებით კარგათ ცხოვრობდა. ესლა როგორც სჩანს, საგარეჯო ბოლშევიკებს ასი პროცენტით გაუკოლექტივიზაცებიათ. შედეგი ის არის, რომ აყვავებული სოფლის მეურნეობის მაგიერ, გვაქვს გაპარტახებული: ამას ბერიას შტაბიც ხედავს და როგორც ამ ბოლო დროს მიღებულია, სოფლის მეურნეობის სასწრაფო ტფილი-

სიდან გაუგზავნიათ ვაზ. «კომუნისტი»-ს ბრიგადირები.

23-24 ივლისს ამ ვახეთში მოთავსებულ მათი ანგარიშიდან ვტყობილობთ: «კაკაბეთის სასოფლო საბჭო (საგარეჯოს რაიონია. აღფა) 9 კოლმეურნეობას აერთიანებს. ამ კოლმეურნეობებში ასაღებია 820 ექტარი მარცვლეული კულტურები. მკა დაიწყეს 5 ივლისიდან. 19 ივლისამდე აღებული იყო მხოლოდ 277 ექტარი, ე. ი. გვემის 33 პროც. მოსავლის აღება უნდა დათავებულყო კი, 20 ივლისამდის.

საერთოთ მუშაობა სუსტათ მიმდინარეობდა, მაგრამ ამ ბოლო დროს, განაგრძობს ბრიგადირი, თავი იჩინა მათ შორის კიდევ უფრო შესუსტებამ. მაგალითათ კოლმ. «წითელი ოქტომბრის» წევრები აცხადებენ—სიცხეებია, მინც მოვასწრებთ, დღეში 5 საათი, რომ ვიმუშაოთ. კოლმეურნე ხუნაშვილი კი ამითაც არ კმაყოფილდება, ავითაც იწყება და ამბობს—ასეთ სიცხეებში 4 საათის მუშაობაც საქმარისიაო.

კოლმეურნეობა «საქართველოს გასაბჭოება» იმ მოტევით, რომ სიცხეები იყო, 17 ივლისი დასველების დღეთ გამოაცხადა»-ო.

საერთო ქონების მოვლითა და მუშაობით, როგორც ბრიგადირების პატაჟიდან სჩანს, არც თვით სოფლის დაწესებულებათა ხელმძღვანელნი იწუხებენ თავს. არც საბჭოს თავმჯდომარემ, არც მდივანმა და არც ფინგანყოფილების გამგემ არ იცის, რამდენი ჰექტარი ხორბალი აქვთ დათესილი და რამდენი უნდა მისციენ აქედან მთავრობას. საბჭოს თავმჯდომარე ჭელოშვილი ბრიგადირს სწყვედურის კილოთი უპასუხებს: ჩაბარება რა დროსია, კაცო, ჯერ მკა არ დაგვითავებია, მას რომ მოვრჩებით, ჩაბარებაზე მეტე ვილაპარაკოთ! ხოლო მუშაობა რომ საერთოთ ცუდათ მიმდინარეობს, ამის გამო თავს მართლულობს და ამბობს: «რა ვუყოთ, სატრაქტორო სადგური არ გვეხმარება, სალენი მანქანები არ გვაქ და მუშაობაც ამის გამო ფერხდება»-ო.

ბრიგადის მეორე ჯგუფი საგარეჯოს სატრაქტორო სადგურის მუშაობას კი შემდეგნაირათ აგვიწერს: «რემონტი დავეინადა, სადგურის გამგე მანიაშვილი «სასწრაფო» საქმეების გამო 23 ივნისს ტფილისში წავიდა. ერთი დღის შემდეგ მას უკან დაედევნა მოადგილე ჩეჩელაშვილი, საწყობის გამგე და უფროსი მექანიკოსი, სახელოსნო კი მიატოვეს უპატრონოთ 8 დღის განმავლობაში. ბოლოს როგორც იყო დაბრუნდენ და შეაკეთეს მანქანები, მაგრამ შეკეთებული მანქანა-იარაღების 90 პროცენტი გაფუჭდა მუშაობის დაწყების პირველ დღესვე. ამ უამბო 21 სამკელისგან ცუდი რემონტის გამო არ მუშაობს არც ერთი სამკელი»-ო.

და ეს ხდება იმ დროს, როცა «სატრაქტორო სადგურების მუშაკები კოლმეურნეობებს პირდებოდენ მანქანების მიწოდებას და მათ არ აძლევდენ მოსავლის ხელით მკის უფლებას»-ო, სჩივიან იგივე ბრიგადირები.

ბოლოს პარტკომი ჩაერია საქმეში და ბრძანება გასცა ორგანიზაციების მიმართ შედგომოდენ ხელით მკას.



ბრიგადირების მოხსენებიდან ვტყობილობთ აგრეთვე, რომ სოფელში ძლიერ გავრცელებულია ქურდობა. «ხუთი დღის განმავლობაში, სწორედ ისინი, სამ კერძო მეურნეს მოპარეს ძნები. სოფ. ჩალაურში გლეხს მოპარეს ერთი ურემი ძნა. სოფლის საბჭო «დაეძვს» დამნაშავეთ. მაგრამ ვერ უპოვიათ»-ო. ან როგორ იპოვიან, როცა თვით სოფლის პატრონ-პატრონი ამასვე სჩადიან!

მათივე გადმოცემით, კელმეურნეობაში «საქარ. გასაბჭოება» გამგებების წევრმა და ბრიგადირმა ჩუმათ მომკეს კოლმეურნეობის ერთი ექტარი ხორბალი, გალევს და მიითვისეს. დანარჩენი წევრები ამას ხედავენ და ამბობენ—გაუშვი, თავისი ნამუშევარი წაიღონო».

გასაგები ლოლიკაა. და მართლაც რატომ ქალაქის ბრიგადირმა უნდა წაიღოს სოფლის ნამუშევარი და არა სოფლის ბრიგადირმა?! სოფელს უნდა რაც შეიძლება მეტი ხორბალი შემოინახოს, ამ საკითხში სოფლის კომუნისტი და გლეხი ერთნაირათ არიან დაინტერესებული. ბოლშევიკები კი ქალაქიდან გაგზავნილი ბრიგადირებისა და გვეუხს საშვალებით ცდილობენ მეტი წააგლიჯონ სოფელს.

ეს წაგლეჯა უკვე დაიწყეს. ხორბლის ჩაბარება ისეთი უხეში სახით ხდება, რომ ივანე მრისხანეს დროს მოგაგონებს. აი მაგალითათ, იმავე გაზეთის გადმოცემით «ზაგოტურნოს» დიდუბეში აქვს მიმღები პუნქტი, სადაც მუშაობა ისე ცუდათ არის დაყენებული, რომ პურის ჩამბარებელ გლეხებს უხდებათ ცდა 2-3 დღე. ხორბლის მიღება კი ისე სწარმოებს, რომ არ უშინჯავენ გლეხებს ვალდებულებებს. ზოგჯერ პურის მაგიერ ღებულობენ ქერს. არის აგრეთვე შემთხვევა, რომ თუ გლეხებს მოტანილი ხორბალი ზედმეტი აღმოაჩნდათ, მთლიანათ ართმევენ და არ უბრუნებენ. ზოგიერთ პუნქტზე გაუწმენდელი პური მოაქვთ, მას არ იღებენ და უკან აბრუნებენ, იმის მაგიერ, რომ პუნქტზე გასაწმენდი მანქანები დადგან»-ო.

«ზოგო ტრესტის» უხეირო მუშაობის-ნიმუშათ განეთს მეორე ფაქტიც მოყავს: «აეჭალის თივის დამზადებელ პუნქტში 1000 ფუთი დამზადებული თივა უპატრონოთ ყრია მინდორში, მას ანადგურებს პირუტყვი და აფუჭებს წვიმა. 5 ივლისამდის პუნქტის გამგეთ იყო ვარდანაშვილი, რომელიც თივის ჩამბარებელ გლეხებს ოფიციალური ქვირითების მაგიერ აძლევდა უბრალო ხელწერილებს, ხოლო ზოგიერთ გლეხს არც ამას. აღნიშნული მდგომარეობა იცის «ზაგოტრესტის» წარმომადგენელმა გაგუამ, მაგრამ მას არავითარი ყურადღება არ მიუქცევია მისთვის»-ო («კომუნისტი» 24 ივლისი).

ასე ავიწროებენ გლეხობას და ანადგურებენ მის მიერ ოფლით შექმნილ დოვლას კომუნისტები. სტალინი კი გამომდგარა და ამტკიცებს—კოლმეურნეობის ქონების მოვლა და პატიოსნათ მუშაობა, არც ისე ძნელიაო! ძნელი არ არის მხოლოდ მაშინ, როცა ადამიანური წყობილებაა, როცა მუშაობისთვის ცოდნა და გამოცდილება გაქვს და საწოგადო ქონების მოვლისთვის—სინდისი.

პოეტის ყალბაბანდობა.

პოეტ გ. ქუჩიშვილს ამ ზაფხულზე კახეთი შემოუვლია. მას ხალხის გოდება ღნენათ მოხსენებია და (ალბათ ბევრი დალია) ლექსში «სოციალისტურად დიად კახეთში» სწერს:

«ყრუ სოფლებშიც
შენათა
შეგნების და
ცოდნის შუქმა;
ყველა წელში
გაიმართა,
ალარ გლეჯენ
პირში ლუკმას.
ან ვინ წაგლეჯს,
ვინ გაბედავს
მშრომელ ხალხის
დაბრეყებას!
თვით მტერიც კი
გრძნობს და ხედავს
კომუნისტის
გამარჯვებას» («კომ.» 28 ივლისი).


მოდი და ამის შემდეგ ნუ იტყვი:

«ვაი, ვაი, რა ცუდია ჩვენი დროო!»

ს ლ მ კ თ მ ი .

კარგი დღე არც სომხეთის სოფელს ადგია. ბოლშევიკები პოლიტგანყოფილების საშვალებით კრებენ პურს გლეხებისგან. ამ მხრით მთელს სომხეთში თავი ისახელა ვაგარშაპატის სამანქანო სატრაქტოროს სადგურის პოლიტგანყოფილებამ, რისთვისაც საკავშირო წითელ დაფაზე პირველი ადგილი მოიპოვა. ამიერ გავკასიის კომუნისტური გაზეთები ამ «გამარჯვებას» დღესასწაულობენ და პოლიტგანყოფილების უფროსის ვილაც პეტეიკ პეტროსიანის სურათსა და ინტერვიუს ბეჭდენ. აი როგორ ავციწერს თავისი რაიონის მდგომარეობას ბოლშევიკური ქანდაკებრიის უფროსი თვით პეტროსიანი:

«მოსავლის მასობრივი აღება და გალევვა, სიამაყით ამბობს იგი, რაიონში დაიწყო შედარებით დავიანებით—ივლისის 10 რიცხვიდან. ჩვენ კი მოსავლის აღებადის გაცილებით ადრე შევეუდქით სამზადისს, თუმცა არც მტრებს ეძინათ. ნათესების გაფუჭებას, მომწიფებული პურის წახდენას, თავთაგების შეკრუქას ადგილი ქონდა ივლისის პირველ რიცხვიდან. პოლიტგანყოფილებამ და რაიკომმა თავის დროზე მიიღეს ზომები—მოეწყო მინდვრების დაცვა საიმედო კოლმეურნეთაგან, დაარსდა ღამის საგუშავოები და ხდებოდა ღამით მინდვრების შემოვლა და სხვა. მაგრამ კლასობრივი მტერი არ ცნებოდა და მიმართავდა ბრძოლის სხვადასხვა მეთოდს. სოფ. კარხაბაზარის კოლმეურნეობაში ავრცელებდენ ხმებს, რომ სულ ერთია, მარცვლულს სახელმწიფო წაიღებს და შემდეგ კოლმეურნებს მისცემენ 200 გრამობით დღეშიო. ისინი ყოველ ფეხის ნაბიჯზე ყვიროდენ; როგორ, პირველი განალეწი სა»



ხელმწიფოს? მაშასადამე შიმშილით უნდა მოვკვდეთ! მაშასადამე ჩვენ უნდა ვიშრომოდეთ, ხოლო სახელმწიფოში კი წაიღოს ყველაფერი! თქვენ გინდათ, რომ ბავშვები შიმშილით დაგვეხცოს!»

და ამ აგიტაციას ხელმძღვანელობდა არა ვინმე «კულაკი», არამედ კომუნურების ბრიგადირი კომუნისტი კარაპეტინი. მან თავისებური გაფიცვაც კი მოაწყო და მუშები დაგვიანებით გამოიყვანა სამუშაოზე.

როგორც იმავე პეტროსიანის სიტყვებიდან სჩანს, გლეხები არც ამით დაკმაყოფილდნენ და მიზართეს პირდაპირ მუქარასა და ტერორს:

«21 ივლისს ღამით მოკლეს სოფ. ხაცუნარხის სტალინის სახ. კომუნურების მინდვრის დარაჯები ამხ. ბარაგამი და კარო. ეს მკვლელობაც «კულაკს» უნდოდა გამოეყენებია პარტიული ხელმძღვანელობის სახელის გასატეხათ» (ქართ. «კომ.» 8 აგვისტო).

მოკლეთ, სოფელში ნამდვილი ომია გაჩაღებული და მშვიდობიანი შრომის მაგიერ, გლეხები იარაღს კიდებენ ხელს. ბოლოს სტალინის უნდარმერამ პეტროსიანის მეთაურობით, ვაგარშაპატის რაიონის გლეხობის მოღუწვა შესძლო, და 24 ივლისამდის ხორბალი საესებით აკრიფა და შეუდგა ბამბის აკრეფის ამავე წესით სამხადისს. შედეგიც შესაფერისია: სტალინს პური, პეტეკს—წითელი დაფა და გაზეთში დახატვა; გლეხს—შიმშილი და ატირებული ცოლშვილი.

ნ ა გ უ მ ც ი რ ე ხ დ ე ა .

ბოლშევიკებს რომ კითხვით, ისინი პატარა ერებს იცავენ დიდი ერების ძალმომრეობისგან, ებრძვიან «ველიკოდერჟავნიკობას» და ხელს უწყობენ ჩაგრული ერების კულტურის აყვავებას. დეკრეტებში ეს მართლაც ასე ხდება, ხოლო სინამდვილეში წინამძღვე მოვლენას აქვს ადგილი. კერძოდ ამჟ.-ავკასიის ერთა შორის, ბოლშევიკურმა «ნაციონალურმა პოლიტიკამ» კიდევ უფრო გაამწვავა ურთიერთობა. ვიდაც ვ. მ—ლი გაზ. «კომუნ.» 6 აგვისტოს ნომერში ამის გამო მწუხარებას გამოსთქვამს და სწერს: «ნაციუმცირესობათა ლიტერატურის გამოცემას უსულგულოთ და ზოგ შემთხვევაში დანაშაულებრივად ეკიდებიან სახელგამში»-ო, და მოყავს ამის მრავალი მაგალითი.

სახელგამი სახელმწიფო დაწესებულებაა, იქ შეიძლება «უცხო ელემენტები» შეიპარონ და პარტიის ხაზი «დამამხინჯონ». მაგრამ დახე უბედურებას პარტიის ხაზს თურმე არ ატარებს თვით ამ.კავკასიის ბოლშევიკების ორგანო «ზარ. ვოსტოკა!». იგივე ავტორი აგვიწერს შემდეგ შემთხვევას «ამხანაგური დახმარების წესით, ამა წლის 8 აპრილს «ზარ. ვოს.» სტამბას ასაწყობათ გადასცეს თურქული სახელმძღვანელო «ლენინ იოლურ» ერთი ფორმა. სტამბის ხელმძღვანელმა ლალაიანცმა უარი სთქვა ამის აწყობაზე და მიზეზათ დაასახელა თურქული შრიფტის უქონლობა. გამოირკვა, რომ მას თურქული შრიფტი

ნამდვილათ ქონდა. ამის შემდეგ ლალაიანცს გამოუძახეს შესაფერ ორგანოში და წინადადება მისცეს აეწყო ეს მასალა. მან იქაც უარი განაცხადა. «პრინციპალურათ არ აეწყობო—სთქვა მან და ეს მასალა დღესაც აუწყობელი ინახება «ზარ. ვოსტ.»-სტამბაში»-ო.

ავტორი რატომდაც არ ასახელებს იმ «შესაფერ ორგანოს», რომელმაც ლალაიანცს გამოუძახა და რომლის წინადადება ამ უკანასკნელმა არაფრათ ჩავდო. შეიძლება ეს «შესაფერის ორგანო» «ზარია ვოსტ.» რედაქცია იყოს, რომლის პასუხისმგებელი რედაქტორი ვიდაც ვ. გრიგორიანი არის და ქართულ «კომუნისტ»-საც არ სურს მის «ინტერნაციონალიზმში» ეჭვის შეტანა.

მეორე ავტორი ვ. ნ. «კომუნ.» 14 აგვისტოს ნომერში ნაცუმცირესობის სკოლების უნუგეშო მდგომარეობაზე სჩივის. მისი სიტყვით ნაცუმცირესობათა სკოლებს არ აქვს საკმარისი არც შენობა, არც სკოლების მოწყობილება და არ ყავთ მასწავლებელთა საკმაო კადრი.

«მოწყობილებითაც ნაცუმცირესობათა სკოლები, სწერს იგი, მეტათ ღარიბია. მთელ რიგ სკოლებში დღესაც არ აქვთ საკმარისი პარტები, დაფები და სხვა სასწავლო ნივთები. ამასთან ერთათ მეორე საფეხურის სკოლები არ არის უზრუნველყოფილი ფიზიკური და ქიმიური კაბინეტებით»-ო.

ეს ნაკლი საბჭოთა კავშირში მარტო ნაცუმცირესობის სკოლების სპეციურ მოვლენას არ შეადგენს, იგი ყველას აქვს. მისი მთავარი უბედურება ის არის, რომ იგი სახელათ ნაციონალური, ფაქტიურათ რუსიციზმის გამტარებელია.

«ტფილისში, სწერს გაზეთი, ქურთის ბავშვებისთვის გახსნილა 4 ოთხწლედო, სადაც მეცადინეობა დღემდის რუსულ ენაზე სწარმოებს, მაშინ როცა ქურთმა ბავშვებმა არ იციან რუსული ენა. განსაკვამმა უნდა მიიღოს გადამქრელი ზომები, რომ მომავალი სასწავლო წლიდან ასეთი მდგომარეობა არ გვექნეს და რომ ბავშვებს საშვალეობა ექნეთ იმეცადინონ თავიანთ მშობლიურ ენაზე.

იგივე უბედურება სქირს წალკის ტექნიკუმს, სადაც მეცადინეობა რუსულ ენაზე სწარმოებს, რომელიც გაუგებარია მასწავლებელთა დიდი უმრავლესობისათვის»-ო.

აი ასე აუხარაკებენ კომუნისტის ქურქში გახვეული რუსი «ველიკოდერჟავნიკები» თავის საქმეებს და ამავე დროს ქართველ კომუნისტებს «უკლონისტობისთვის» შორეულ ციმბირში ასახლებენ. რაც მოკვივა დავითათ, ყველა შენი თავითათ, შეგვიძლია ვუთხრათ ამ უკანასკნელთ. მათ მიერ წამხდარ საქმეს დღეს «კომუნისტის» მორიდებული წერილები ველარ გამოასწორებენ.

აღლვა.



კავკასიელთა ერთმანეთთან დაახლოვება

კავკასიელთა ერთობა და კავკასიის კონფედერაციული კავშირი დღეს ყველას პირზე აკერია. მეტად პოპულარული გახდა და შიგნით მოდავე თითქმის არავინაა. უეჭველია კავკასიის კონფედერაციის მოწყობას უაღრესი მნიშვნელობა აქვს მრავალმხრივ, რგი განყენებული თეორია კი არაა, არამედ ნამდვილ რეალობაზე აღმოცენებული, დიდი სიგრძის და სიგანის, და დიდი ღირებულების განსაკუთრებით ჩვენთვის, ქართველებისთვის. მაგრამ ზოგიერთებს, შეიძლება ბევრსაც, ძალიან ილაღად წარმოუდგენია კავკასიის კონფედერაციის განხორციელება; ითქვამს და გაკეთდა. ავიწყდებათ, რომ საქმეს დიდი დაბრკოლებანი უდევს წინ—სუბიექტიური, შინაგანი და ობიექტიური, გარეგანი.

კავკასიის კონფედერაცია მიიმე და ძნელი საქმეა არსებითად და მის შესრულებას სჭირია არა ერთი კეთილი სურვილი და იდეური მისწრაფება; არამედ ინტენსიური პრაქტიკული მუშაობა, ბრძოლა, მოქმედება სხვადასხვა სფეროში. კავკასიელთა საერთო განმათავისუფლებელ საქმიანობას, მათ შეთანხმებულს პოლიტიკურს გამოსვლებს, მაგალითად, დიდად აბრკოლებს ერთმანეთს უცნობელობა და სრული სულიერი დაშორება, და მიუხედავად მრავალი წერისა და ლაპარაკისა იმის შესახებ, რომ ყოველი დონე და საშუალება უნდა ვიხმაროთ კონფედერაციის მოსაწყობად,—არაფერი კეთდება სრულებით იმისთვის, რომ ერთმანეთს მორალურად და კულტურულად დაგუხლოვდეთ, გავიცნოთ ერთიმეორის წარსული, აწმყო, ყოფა-ცხოვრება, კულტურა, მწერლობა. შემოქმედება; არ ვადევნებთ თვალყურს ერთმანეთს, ერთი რას აკეთებს, რას ფიქრობს, ან მეორე. მესამე, და ეს ხომ საფუძველია საერთო პოლიტიკის. უამისოთ ხომ შეუძლებელია ერთმანერთის გაგება და შეთანხმებული მოქმედება.

განა შეხვდებით ქართულ პრესაში, თუ არა შემთხვევით, სისტემატიურ ცნობებს მეზობლების შესახებ? ქართველებში ერთს ვერ იპოვით, რომ იცოდეს სომხური ან ადერბეიჯანული და შეეძლოს მეზობლების გამოცემების შინაარსი მაინც გავცნოს ჩვენს მკითხველებს. თითქმის აშინარსავე მდგომარეობაში არიან სხვა კავკასიელები. უცხოეთში, სხვათა შორის, გამოდის რუსულად ჩრდილო-მთიელთა ორგანო «გორცი კავკასა», რომელიც თურქეთის ამბებში უფროა დაინტერესებული, ვიდრე მას გვერდით მცხოვრებ ერების ვითარებით, თუ არ მივიღებთ მხედველობაში კავკასიის რუკას; ორგანოს გარეკანს რომ ამშვენებს ყოველთვის; სადაც საქართველოს მოხრდული ტერიტორია მთიელთა რესპუბლიკაზეა მიზომილი*). შედარებით უკეთესად აქვთ მოგვარებული ეს საინფორმაციო საგანი სომხებს; რომლებიც უკეთ იცნობენ მეზობლების ცხოვრებას. გარდა

პერიოდულ გამოცემებისა არსებობს სხვა საშუალებაც ურთიერთის გასაცნობად, ასეთია კრებები, საუბრები, მოხსენებანი კავკასიელთა ცხოვრებაზე, კულტურაზე, აწინდელ სულისკვეთებაზე. მაგრამ ამ გზითაც თითქმის არაფერი კეთდება.

მე შინა განსაკუთრებით ხაზი გაუსვა იმ გარემოებას; რომ კავკასიელები სრულებით არ ვიცნობთ ერთმანეთის ისტორიას, ურამდისოთ ჩვენ ვერასოდეს გავიგებთ ურთერთს. კიდევ უფრო აღსანიშნავია, რომ წარმოდგენაც არა გვაქვს, თუ რანაირი იყო ჩვენი დამოკიდებულება ერთმანეთთან წარსულში. უდავოა კია, ჩვენ რომ ამ ძველს დამოკიდებულებას ვიცნობდეთ, მაშინ გაცილებით გავგვიადვილდებოდა დღევანდელი ურთიერთობა.

შართალია, მცნება კავკასია შედარებით ახალი მცნებაა, ხოლო თვით კავკასიის მკვიდრთა მეზობელობა და ურთიერთობა გასულ საუკუნეს არ წარმოუშვია, მას გრძელი და დიდი თავგადასავალი აქვს. ამ ისტორიის მთავარი ღერძი საქართველო იყო, თუ არ მივიღებთ მხედველობაში პირველ საუკუნოებს. შეიძლება ვსთქვათ, რომ კავკასიის ისტორია—ეს უმთავრესად საქართველოს ისტორიაა და არაა კავკასიაში ადგილი, სადაც ქართულს პოლიტიკურ და კულტურულ გუთანს არ გაველოს, სადაც ქართველის სისხლი არ იყო დაღვრილი. მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ სხვა ერები არ თამაშობდენ დიდ როლს კავკასიის სინამდვილეში. სომხები, რომელთა ჰეგემონია პირველ საუკუნოებში სამხრეთ-დასავლეთ მხარეზე ყოველად უდავოა, ყოველთვის დიდს კულტურულ ძალას წარმოადგენდენ და მათ და ქართველების თანამშრომლობა მეტად ღრმა კვლით არის აღნიშნული. ისტორიამ კარგად უწყის, თუ რა წარუხოცელი გავლენა მოახდინეს თურქ-სელჩუკებმა (ადერბეიჯანის წინაპრებმა) კავკასიის მკვიდრთა კულტურაზე და კერძოდ ქართველებისაზე. ოსებს დიდხმე ძლიერი სახელმწიფო ჰქონდათ, რის გამოც ძალიან ვახტანგ გორგასლანის სალეგენდო ამბებშიც გვხვდება, და მათი და ქართველების დამოკიდებულების ცნობებით სავსეა საქართველოს მატრიანე. საყურადღებოა, რომ ჩვენი ქვეყნის გაძლიერების ხანიდან ქართველ ერს არც ერთ მეზობელთან არ ჰქონია ისეთი კარგი განწყობილება, როგორც ოსებთან. ქართველ მეფეებს ხშირი ნათესავობა ჰქონდათ მათ მთავრებთან, რომელთა ქალებს თუ დებს ცოლებად ირთავდენ. ყველამ იცის, რომ მაგალ. თამარ მეფის დედა ბურდუხანი ოსთა მეფის ასული იყო. ოსები მუდამ მხურვალე მონაწილეობას იღებდენ ქართველ ჯარის ომებში და რაც დაუფიქარია, ისინი უკანასკნელ დრომდე დარჩნენ საქართველოს სახელმწიფოს ერთგულნი და ქართველებთან ერთად იცავდენ დარილის კარებს რუსების წინამძღვე მე 18—19 ს. ს. გადატენილზე. ქართველობა ყოველთვის აფასებდა ამ მეგობრობას და დიდი შრომაც აქვს გაწეული ოსთა შორის კულტურის გასავრცელებლად, რისთვისაც მეფურამეტე საუკუნის მიწურულში ოსური ანბანიც კი შეადგინა. სხვა ჩრდილო მთიელებიც ასევე თანამშრომლობდენ ქართველებთან. უნდა მოვიხსენიოთ საგანგებოთ ჩერქეზები; რომელთა მთავ-

*) «დამ. საქარ.» ორჯელ მიაქცია ყურადღება ამ უტაქტობას, მაგრამ სამწუხაროდ ამას არავითარი შედეგი მოყოლია.

რებს ხშირად უნათესავებოდნენ დასავლეთ საქართველოს მეფეები და მთავრები, და რომელიმე მრავლად მსახურებდნენ ერეკლე მეორის ლაშქარში იმ დროს, როდესაც ლეკები ისე აწიოკებდნენ და ახრებდნენ ქართლ-კახეთის სამეფოს.

ყველაფერი ეს ფრიად საგულისხმეოა და ამის განხილვა, შესწავლა, გათვალისწინება დღეს დიდად საჭირო და გამოსადეგია. მოგონება იმის, რაც იყო, ბევრს გავარკვევს დღევანდელობაში და არამც თუ კავკასიურს არამედ თვით ქართულ პოლიტიკას მისცემს სწორს და მკვიდრს მიმართულებას. კავკასიელთა გარდასული ურთიერთობა, რასაკვირველია, მართლ ამ დადებითს მხარეებს არ შეიცავს. ცხარე და ხანგრძლივი ბრძოლები ჰქონდათ, მრავალი სისხლი დაღვარეს ერთმანეთის—კვალი ამის ახლაც სჩანს. მაგრამ ჩვენთვის ძვირფასია ის ერთობა, თანამშრომლობა, ერთმანეთის გამტანლობა და ერთგულება, რომლის მაგალითს ისტორია არა ერთს და არს ეგაძლევა.

ეს გულდასმით უნდა შევისწავლოთ ჩვენ ქართველებმა და სხვა კავკასელებმაც.

ისტორიის ნაანდერძევი უნდა გამოვჩინოთ, დავინახოთ—ეს დღევანდელ საქართვებას უფრო გაამაგრებს და კავკასიელთა ერთობას და კონფედერაციას საძირკველს განუმტკიცებს.

ხ. ფირცხალავა.

უცხოეთის მიმოხილვა.

ერთდღესეულად.

ერთი უკვე დაბრუნდა და მისი გატაცება ნახულობით ფრანგულ პრესაში იწვევს კამათს, შემარცხენენი უწონებენ, თუმცა ზანტათ, შემარჯვენენი ესხმიან. სადაღორი კითხვა: 1) არის თუ არა სიმშვილი? და 2) არის თუ არა ხელსაყრელი მოსკოვთან დაახლოება? პირველ კითხვაზე ერთი მიუგებს მხრების აწევით—მე არ მინახავს სიმშვილი, და ეს დაეჯერება მას უთუოთ. ერთი ნახა, რაც უჩვენეს და მოსკოვის ბატონები ხომ გიყები არ არიან, დამმეულნი ან კიდევ სიმშვილისგან მკვდრების ზვინები ეჩვენებინათ; პირიქით გაუშალეს მადლარი სუფრები, სადაც ჩიტის რძეც არ დაუკლიათ, როგორც იტყვიან, და ღიპიანი კომისრები და ჩეკისტები სტუმრებსაც კი ეცილოდნენ სიმშვილეს. მეორე კითხვაზე ერთი ხაზს უსვამს საბჭოების სამხედრო სიძლიერეს. ამასვე მოწმობს ავიაციის მინისტრი პიერ კოტიც, რომელიც ესაა ჩამობრუნდა მოსკოვიდან და სამადლობელ დეპეშაში მიუთითებს ლიტვინოვს, თუ რამდენათ სასარგებლოა რუსეთ-საფრანგეთის «ტექნიკური თანამშრომლობა» ავიაციის დარგში.

მაშასადამე, დაახლოება თანამშრომლობად იქცა, ეს უკვე ფაქტია. რუსეთიდან გამოდევნეს გერმანელი სპეცები, ინსტრუქტორები, მათ ადგილს იკვირენ ფრანგები, განსაკუთრებით სამხედრო მრეწველობაში. თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ, თუ არის რამე მიღწეული, მხოლოდ სამხედრო მრეწვე-

ლობაში, ფრანგების თანამშრომლობა თავის ნაყოფს გამოიღებს. რა თქმა უნდა, ეს არც ისე ჩქარა მოხდება, და ამიტომ ცდილობენ ყოველივე დაბრკოლება გადალახონ. მაგალითად, სურთ დროებითი სავაჭრო ხელშეკრულება დასდონ და ვალების კითხვა შემდეგისთვის გადადონ. დაყოვნება საწიფათო მიჩინია ორივე მხარეს, აქეთ ჰიტლერის გერმანია ომისთვის ემზადება, იქით იაპონია საცაა შემოუტევეს საბჭოებს. მეორეს მხრით, სამხადის განიარაღების კონფერენციისათვის, მართალია, გაცხადდა, მაგრამ საყოველთაო მშვიდობიანობის შანსი მანაც ძალიან ცოტაა. იაპონია ისედაც არ არის ერთა ლიგაში, დიქტატორი არაკი უმატებს კიდევ შეიარაღებას, ხოლო ჰიტლერის მოგზავნილი გებელსი ახალ სურპრიზებს უმზადებს სხვა ქვეყნის დღეგატებს ენევაში.

ამიტომ თითქმის უეჭველია, რომ ამ ცოტა ხანში რუსეთ-საფრანგეთის «თავდაცვითი კავშირი» ფაქტით იქცევა, და ესლა თქვენ გარჩიეთ, სად იწყება თავდაცვა თუ თავდასხმა? ეს კითხვა თითქო გავარკვია ლიტვინოვის პაქტებმა, მაგრამ ფორმულა ერთია და ცხოვრებაც კიდევ მეორე. კავშირი მოსკოვისთვის ხელსაყრელია, ხელს შეუწყობს დიქტატურის გამაგრებას, თუ იაპონიიდან არ დაჰკრეს მანამდე! საფრანგეთში კი, ერთს და მის პარტიის გარდა, არავის სჯერა მოსკოვის ძალა და კიდევ უფრო ნაკლებ მისი სიტყვა. ვანა ძნელია იმის გაგება, რომ ხალხი, რომელიც ასე ადვილათ იმეტებს 15 წლის მეგობარს—გერმანიას, არ დაინდობს ახალ მეგობარსაც—საფრანგეთს. მეფის რუსეთს არ უღალატნია, მხოლოდ წაიქცა, სტალინის რუსეთი უღალატებს წაქცევამდე.

მაგრამ ჩვენ გვინდა ისევ ერთს მოგზაურობას დაეუბრუნდეთ. საბჭოთა გემმა «ჩიჩერინმა» სტამბოლიდან პირდაპირ ოდესაში გააღინა შვლექა და იქ გადმოავდო ლუზა, რატომ არა ბათუმში? ნუ თუ დავიჯეროთ, ერთს არ აინტერესებდა ბათუმი, ტფილისი, ბაქო, გროზნა? მას ხომ არა ერთხელ ვანუცხადებია, იქითა წლებში, რა თქმა უნდა, რომ ენატრება ოქროს ვერძის სამშობლოს, ძველი კოლხიდის, დუნიაზე უღამანეს ხალხის—ასე სწერია ფრანგულ ლექსიკონებში—ნახვა. რატომ ვერ შეასრულა ეს ნატვრა? იმიტომ ალბათ, რომ მოყრიდა, საელჩოს მოხსნის მეორე დღეს, თავის თვლების ქართველთა თვლებში გაყრას. მას ცუდი არაფერი მოელოდა საქართველოში, დაჩანძახებული არამხადებიც ხომ ბევრ რამეს აჩვენებდნენ ქართველ ერის «ბედნიერ» მდგომარეობიდან, მაგრამ ერთი ფსიქოლოგია, მან იცოდა, რომ ქართველს იმის უნარიც შესწევს, თუ გინდ შებორკილს, უსიტყვოთ ამცნოს სტუმარს თავის გულისწყრომა, საყვედური..»

ერთის მეორე საჯაყი საქმეც მოუვიდა: მან ვერ ნახა სტალინიც! ეს კი დიდი დანაკლისი იქნება მისი წიგნისთვის, რომელსაც ის ესლა თხზავს თავის მოგზაურობაზე. ვინც მას იცნობს, არ ეყვობს, რა თქმა უნდა, რომ თუ ვისიმე ნახვა სურდა მას მოსკოვში, ეს სტალინის და არა მისი ლაქიების. დიხ, კარგი საქმე ვერ მოუვიდა საფრანგეთის მართველ პარტიის თავ-



მჯდომარეს, ყოფილ პრემიერს; ამას ვერ დაივიწყებს, თუმცა ვერც გაამხელს, ერთობ დელიკატური საქმეა.

დოღფუზი.

ესეც ახალი დიქტატურა! ევროპა აღარ ხუმრობს—ახალი სახელმწიფოებრივ ფორმებსა ჰქმნის. ექვს მილიონიანი ავსტრია თითქო არ იძლეოდა ამის ნიადაგს. ორი მთავარი პარტია: სოციალდემოკრატი და ქრისტიან-სოციალისტური დაახლოებით იგივენი არიან, რაც იყვნენ სოც.-დემ. და ცენტრის პარტიები გერმანიაში, დემოკრატიის დამცველად გამოდიოდენ თვითეული თავისებურათ. თუ გერმანიას ჰყვივდა თავისი ბრიუნინგი, ავსტრიას ეპისკოპოზი ზაიპელი ჰყავდა, ორივენი მართლმორწმუნე კათოლიკენი და, მამასადამე, დიქტატურის წინამორბედნიც.

საფუძვლად დაედო «ანშლუს», გერმანიასთან გაერთიანება და, რაც ჰიტლერი ვაბატონდა, რაღმე ფაქტად არ იქცა. ეს კი ხელშეკრულებათ ეწინააღმდეგება და უფრო კიდევ დიდ სახელმწიფოების ინტერესებს. გაიმართა დოღი: ჰიტლერი შინიდან აფეთქებას უპირებდა ავსტრიას და ამას ადვილათ შეასრულებდა, მაგრამ წინ გადაეღობა იტალია და მცირე ანტანტა, საფრანგეთის ხელმძღვანელობით. ავსტრიას უჭირს ფული, მას სესხს აძლევენ და ამ ფასით დოღფუზის მთავრობა იცავს ავსტრიის დამოუკიდებლობას. ავსტრიის სოციალდემოკრატი პეტრიციას ურდგენს პრეზიდენტს, რომელზედაც ხელს აწერს მილიონ სამასი ათასი მოქალაქე, რას ამბობენ? დამოუკიდებლობას ჩვენ უსასყიდლოთ დავიცავთ, ოღონდ დიქტატურა ნუ იქნებაო. მაგრამ გვიანაა: დოღფუზმა შეადგინა ახალი სამინისტრო, თავისი პარტიული ამხანაგებიც კი გარეკა და ლამობს კორპორატულ სახელმწიფოს შექმნას, მზგავსათ იტალიისა.

მოდით და გაარჩიეთ ფაშიზმი ჰიტლერიზმისაგან! დამოუკიდებლობის დაცვა კი ისეთ რეჟიმს შეეძლო, რომელიც არც რომს ბაძავს და არც ბერლინს, ე. ი. ქრისტიან-სოციალისტები უნდა შერიგებოდენ სოციალდემოკრატებს, მათ უკან ხალხის დიდი უმრავლესობა სდგას, და ამ გზით ცდილიყვენ თავის დაღწევას უცხო უღლისაგან. დოღფუზმა ეს არ ინება და აქედან იბადება კითხვა, მართლა სურს მას დამოუკიდებლობა? რადგან, ცხადია, გერმანიას, გარდა ჰიტლერიზმ-ფაშიზმის ერთიგეობისა არსებითათ, ერთი დიდი კოზირიკა აქვს—ავსტრიელი ეროვნულათ მისი ძმებია. სანამ ჰიტლერი ვაბატონდებოდა, ავსტრიაში ხომ ხუთი კაციც არ მოიძებნებოდა, ვინც «ანშლუს» არ ნატრობდა, ერთხელ კიდევ სცადეს ეს, დიდმა სახელმწიფოებმა ჩაუფუშეს, მაშინაც ფული მისცეს!

აი თქვენი ვერსალის და მისი პირმოო სან-ჟერმენის ზავიც. ომი მოიგეს, ზავი უხეირო შეკრეს, ყველას ენაზედ რევიზია აკერია, და აი ესაა სწორეთ უმთავრესი საკონფლიქტო კითხვაიც. ავსტრიის სოც.-დემოკრატი არამდ არე გამოსულიყო დამოუკიდებლობის დამცველად, მის წისკვილს ასე ადვილათ ვერ შეუშრობდა წყალს დოღფუზი, მაგრამ ეს სხვა კითხვაა, კიდევ დავუბრუნდებით.

მუშათა სოც. ინტერნაც. კონფერენცია

21 აგვისტოს პარიზში გაიხსნა მუშათა სოციალისტური ინტერნაციონალის კონფერენცია, რომლის მუშაობა გავრძელდა ხუთ დღეს. კონფერენციას დაესწრენ 36 ქვეყნის წარმომადგენელი, რიცხვით 142 დელეგატი. საქართველო წარმოდგენილი იყო სამი დელეგატი.

კონფერენციის დღის წესრიგში იდგა ერთადერთი საკითხი: საერთაშორისო მუშათა მოძრაობის ტაქტიკა და სტრატეგია ფაშიზტურ შემოტევის ხანაში.

კონფერენციის მიზანს, როგორც ეს ხაზგასმით იყო აღნიშნული ინტერნაციონალის ბიუროს მიერ დაგზავნილ მოწვევის ბარათებში, შეადგენდა არა რაიმე საბოლოო დადგენილების გამოტანა, არამედ ერთგვარი წინასწარი მუშაობის ჩატარება და მანლოზბელ კონგრესისათვის საფუძვლიანათ მომზადება. ბიურო მოუწოდებდა ინტერნაციონალში შემავალ ყველა სექციებს თავიანთი დასაბუთებული აზრი წარმოედგინათ ყველა იმ საკითხების გამომ, რომლებიც დაუყენა საერთაშორისო მუშათა მოძრაობას ფაშიზმის გაძლიერებამ; გულახდით გაეზიარებიათ ერთმანეთისთვის თავიანთი შეხედულებანი და პერსპექტივები.

კონფერენციისადმი ამგვარი მიდგომით აიხსნება, რომ ინტერნაციონალის ეკნეკუტივს და მის ბიუროს არავითარი მოხსენება არ დაუმზადებიათ კონფერენციისათვის დღის წესრიგის შესახებ.

კონფერენცია გაიხსნა გენერალური მდივნის ადლერის და თავმჯდომარის ვანდერველდეს შესავალი სიტყვით. ორვე ორატორმა სიტყვის დაწყებისთანვე ვანაცხადეს, რომ მათი გამოსვლა პირადულია, რომ ისინი განავითარებენ თავიანთ საკუთარ შეხედულებებს.

ადლერმა მოუწოდა კონფერენციას, გადაჭრით ეთქვა, რომ ხელისუფლების დასაპყრობათ არსებობს ორი გზა—დემოკრატიული და რევოლუციონური. დემოკრატიული გზა მთელ რიგ ქვეყნებისათვის არამც თუ შესაძლებელია, არამედ სავალდებულოც. მუშათა მოძრაობის მოვალეობაა ყველა ხელმისაწვდომ საშვალეობით დაიცვას დემოკრატია, სადაც დემოკრატია არსებობს; მაგრამ იმ ქვეყნებში, სადაც დემოკრატია დაეცა და ხელისუფლებას ფაშიზმი დაეუფლა, გამოყენებული უნდა იქნას ბრძოლის რევოლუციონური მეთოდები.

ვანდერველდემ თავის სიტყვაში კონფერენციას მოაგონა ჟორესის დებულება, რომ რევოლუციონური ევოლუცია სოციალიზმისაკენ შესაძლებელია მხოლოდ დემოკრატიის, ზავის და მუშათა კლასის საერთაშორისო სოლიდარობის გზებით. ორატორმა აღნიშნა, რომ დემოკრატია არის არა ბურჟუაზული რევოლუციების მემკვიდრეობა, არამედ იგია მუშათა კლასის მიერ მთელ საუკუნის მანძილზე წარმოებულ ბრძოლების შედეგათ მოპოვებულ უფლებათა ჯამი და დასძინა: «იმ ქვეყნებში, სადაც რეაქციამ შესძლო მისი (დემოკრატიის) მუშათა კლასის ხე-

ლიდან გამოგლეჯა, უკანასკნელის უშუალო ამოცანა არ დაკმაყოფილდეს დაკარგულის უკან დაბრუნებით. ამ ქვეყნებში დემოკრატიის გამარჯვება უნდა მოასწავებდეს რევოლუციონური, სოციალისტური დემოკრატიის წარმოშობას.

შემდეგი ორატორები (ილაპარაკეს თითქმის ყველა ქვეყნების სოციალისტურ პარტიების წარმომადგენლებმა) თავიანთ სიტყვებში უტრიალებდნენ უმთავრესათ ფაშისტურ დიქტატურას და მის მიერ წარმოშობილ საერთაშორისო სიტუაციას. აქა-იქ გაიკონბდით კომუნისტურ დიქტატურის კრიტიკასაც, მაგრამ უმეტეს შემთხვევაში მკრთალს და გაუბედავს. მხოლოდ რამდენიმე ორატორმა გაბედა ერთ დონეზე დაეყენებია ორივე ნაირი დიქტატურის საშიშროება და დამლუპველობა საერთაშორისო მუშათა მოძრაობისათვის. ამ მხრივ აღსანიშნავია სკანდინავიის ქვეყნების წარმომადგენლების და რამდენიმე ინგლისელ დელეგატის დალტონის გამოსვლები. მათი აზრით ზოგიერთების მიერ აკვიტებული რჩევა შესახებ კომინტერთან შეთანხმებისა ფაშისტის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში სოციალისტურ ინტერნაციონალს არაფერ სარგებლობას მოუტანს.

უფრო გარკვეულად დააყენა საკითხი საქართველოს დელეგატმა კ. გვარჯალაძემ, რომლის აზრით ფაშისტური საფრთხის ერთი მთავარი მიზეზთაგანი კომინტერის პოლიტიკა, და ფაშისტური საფრთხის წარმოშობას ნიადაგი მოუშადა კომუნისტური ტირანიის საფრთხემ. ამიტომ აუცილებლად საჭიროა, რომ მუშათა სოციალისტური ინტერნაციონალი გაიმძღვროს მკაცრად კომუნისტურ ინტერნაციონალისაგან.

კონფერენციის მუშაობის მეხუთე დღეს ამოიწურა ორატორთა სია და მიღებულ იქნა ვრცელი რეზოლუცია საერთაშორისო მუშათა მოძრაობის სტრატეგიისა და ტაქტიკის შესახებ.

რეზოლუციას მხედველობაში აქვს ფაშისტური საფრთხე და ითვალისწინებს იმ ზომებს, რომელიც უნდა იქნეს მიღებული მის წინააღმდეგ. სხვათა შორის რეზოლუცია აღნიშნავს იმ განხეთქილების დამლუპველობას, რომელიც კომინტერმა შეიტანა მუშათა კლასში და დასძინს, რომ სოციალისტური ინტერნაციონალი უარყოფითად უცქერის საერთო ფრონტის იმ მანიფრებს, რომელსაც მიზნათ აქვს არა საერთაშორისო მთლიანობის აღდგენა, არამედ ბრძოლის გაღრმავება მუშათა კლასის რიგებში და ერთხელ კიდევ აცხადებს, რომ იგი ყოველივეს იღონებს მუშათა მასების დაქსაქსულ ძალების გასაერთიანებლათ.

რეზოლუციის კენჭის ყრის დროს შვეციის დელეგატმა შვეციელ და დანიელ დელეგატების სახელით განაცხადა, რომ ისინი ხმას აძლევენ რეზოლუციას, რადგან სიტყვებს მუშათა კლასის გაერთიანების შესახებ ისე ხსნიან, რომ ეს არ ნიშნავს დავალების მიცემას აღმასრულებელ კომიტეტისათვის, განაახლოს ცდა კომინტერთან შეთანხმების ჩამოსაგდებათ.

მეორეს მხრივ მობოლშევიჩანო დელეგატების

სახელით ყირიმსკიმ განაცხადა, რომ ისინი ხმას მისცემენ რეზოლუციის წინააღმდეგ, რადგან მასში არ არის საკმაოდ გარკვეული დემოკრატიულ-რევოლუციონური ბრძოლის საშუალებები, არ არის ლოზუნგი «პროლეტარიატის დიქტატურისა» და არ იძლევა დამაკმაყოფილებელ პასუხს მუშათა კლასის გაერთიანების საკითხზე.

რეზოლუციამ მიიღო 201 ხმა 18 წინააღმდეგ, თავი შეიკავა ხუთმა დელეგატმა და მათ შორის საქართველოს დელეგაციამაც.

მემარცხენთა სახელით წარმოდგენილმა რეზოლუციამ მიიღო მხოლოდ 18 ხმა.

0.

ისტორიული სინამდვილის სახეები!

ქართველი ერის წარსულში—შორეულსა და ახლობელში—ჩვენ ვხედავთ ხალხის თანდაყოლილ თვისებას, რომელიც ვერც საუკუნეთა მძიმე მონობამ, ვერც უზრუნველმა საკუთარმა ცხოვრებამ—ვერც მოუკლა და ვერც წაართვა!

ეს არის მარადული ბრძოლა თავდაცვისათვის.

არა ერთხელ დაცემულა ქართველი ერი უამრავ მტრის შემოსევებში, არა ერთხელ უტარებია მონობის მძიმე ბორკილი!

არა ერთხელ მისულა განადგურების კარამდის, მაგრამ გარდაუვალ ნების ტარებით მუდამ ფეხზე დგებოდა და, დამოუკიდებელ არსებობისთვის, ისევ ბრძოლას იწყებდა!

ხშირათ საშინელ გლოვას გვიჩვენებს ჩვენი ქვეყნის წარსული, მაგრამ ყოველთვის თან ახლავს იმედოიანი ძახილიც!..

ისტორიული სინამდვილის სახეები—ჩვენს თვალწინ ირახმებიან!

აი მაჰმად-ხანის ჯარები საქართველოს შემოსევია!.. კრწანისის ბრძოლა წაგებულა! ქვეყანას განადგურება მოეღის! გლოვამ შეკმოსა დიდი სარდალი, გლოვით გაჰყურებს აოხრებულ კრწანისის ველს! თფილისი ჩვენი დაღვრემილია,—ისმის მტკვარის ნაღვლიანი დუდუნი!—და აი, ამ დროს, ბრძოლის ერთი მხარეიდან, გაისმის სარდლის ხმა—გურამიშვილის:

—ქართველებო!—ვხედავთ სიკვდილი აუცილებელია!—ჩვენ შეგვიძლია სამშობლოსათვის თავის დადება!—დავწებდეთ მტერს, თუ მივიღოთ სიკვდილი სახელოვანი!

—მიმუღვისათვის თავის დადება,—სიკვდილი სახელოვანი!—გაისმა მეომართ ხმები!

—გმადლობთ, ძმებო!—მამ, გთხოვთ სამ თითით ქართული მიწა ავიღოთ, შევჭამოთ!—დაე, ეს იყო ზიარება ჩვენი,—სიკვდილის წინ!

ყველამ მიწას ხელი დაავლო და ეზიარა! თავგანწირულათ ეკეთენ მტერს და დაიხოცენ!



მარიამ დედოფალი გენერალ ლაზარევის ხანჯლით გულს უპობს! შეურიგებლობას დედოფალი დარეჯანი განაგრძობს! მოტყუილებით იგი პეტერბურგს მიჰყავთ—და სოფ. კაიშურაში, რუსის ჯარის თანხლებით, ღამეს ათევს! შუალამისას, ფარულათ ვიდაც მთიელი მოხუცი მოდის, მოახსენებს!

— დედოფალი! მთიულეთი დიდი ხანია მზადებაშია!—მზათ ვართ და თუ ნებას დაგვრთავთ, რუსის ჯარს თავს დავესხმით, გაწყვეტო. განგათავისუფლებთ! შემდეგ, როგორც ვნებავდეს!

დარეჯანს თავისი ქალი—თვკლე თან ახლავს!
— დედა ჩემო! მამასთან ერთათ ბრძოლებში ბევრჯერ ვყოფილვარ!—მე შემიძლია, თუ ნებას მომცემ, ვაქვაცურათ ჩავიცვა, თოფ-იარაღი ავისხა—და ქმართან ერთათ ამ მოხუცს გავყვე, ვიბრძოლო!..

დედოფალი დარეჯანი პეტერბურგს ტყვეობას განიცდის! მის ბინის წინ გალიით ჩიტები ჩაატარეს! მთელი გალია იყიდა, და სათითაოთ ყველა ჩიტი გადაფრინა!

— გაფრინდით, ჩიტებო, გაფრინდით!—ტყვეობა ჩვენ—ადამიანებსაც გვეყოფა!—თქვენ მინც თავისუფლათ ინავარდეთო!..

ისტორიული სინამდვილის სახეები ჩვენს თვალ წინ ირანებდინან! ქართველი ერის დიდი წარსული ჩვენ ბევრს გვასწავლის!—უპირველესათ ბრძოლას მეღვარს—თავისუფალ არსებობისთვის!—მტერი ჩვენს დაპყრობას განაგრძობს, მაგრამ სულიერათ ქართველი ხალხი მან ვერ დაიპყრო! განუტყენელი ნებისყოფით მტერს ებრძვის—მას არ ნებდება... და ჩვენც ქართველ ხალხთან ვართ!—მოგონის ძახილიც მართ მოგვესმის:

— მოვა დრო და თავს აიშვებს,
ბორკილს გასწყვეტს გმირთა გმირი,—
სიხარულით შეიცვლება
ამდენი ხნის გასაჭირი!

ბ. გელა-გელაზანია.

უკრაინელთა შოკის

უკრაინაში ჩამოვიდა ცნობილი იაპონელი პროფესორი ეკონომისტი მოტსუ-შიტო, რომელიც კარგა ხანს დარჩება უკრაინაში და შეკრებს მასალებს თავის თხზულებისათვის, რომელიც შეეხება უკრაინის მდგომარეობას მსოფლიო ეკონომიაში. იაპონელი მეცნიერი დაბინავდა კიევში.

— რუსეთიდან ჩამოსულ პირების ცნობით, უკრაინელი გამოჩენილი ისტორიკოსი და პოლიტიკური მოღვაწე გრუშევსკი უკიდურეს მდგომარეობაშია. როგორც ყველამ უწყის, გრუშევსკი უკრაინის თავისუფლების დროს ცენტრალურ რადას თავმ-

ჯდომარე იყო და ბოლშევიკების შემოსევის შემდეგ უცხოეთში გადმოსახლდა. მერმე შეურიგდა ბოლშევიკებს, დაბრუნდა სამშობლოში და უკრაინულ სამეცნიერო აკადემიის თავმჯდომარედ დაინიშნა. მაგრამ რამდენიმე ხნის შემდეგ საბჭოთა ხელისუფლებამ გადააყენა და შიდა რუსეთში გადაასახლა, სადაც დიდს შევიწროვებას და გაჭირვებას განიცდიდა. ბოლო დროს თითქმის დაბრმავდა და დღეს ნელნელა კვდება.

— როგორც უკვე გამოქვეყნებულ ანგარიშებიდან ირკვევა, კომუნისტური პარტიის «გაწმენდის» შემდეგ პარტიიდან გამორიცხულ რუს კომუნისტთა რიცხვი შეადგენს თორმეტ პროცენტს, მაშინ როდესაც უკრაინელთა შორის გამორიცხულია 24 პროცენტი. განსაკუთრებით მკაცრად მოეპყრენ უკრაინელებს ვინიცას რაიონში, სადაც სასტიკად ებრძოდნენ საბჭოთა წყობილებას და დიდს «ნაციონალურ» გადაწვრებს ჰქონდა ადგილი.

«პრომეტეს» საზოგადოება

«პრომეტეს» საზოგადოება, რომელშიაც თავს იყრიან რუსეთისაგან დაჩაგრული ერები (კავკასიის ერები, უკრაინელები, დონი, ყუბანი, ყირიმი, თურქესტანი და სხ.) უკვე კარგა ხანია არსებობს პოლონეთსა და ფინლანდიაში და განზრახულია სხვაგანაც მოეწყოს. საზოგადოების მიზანია დამონებული ერების განთავისუფლება და საკუთარი დემოკრატიული სახელმწიფოების დაარსება. ამ მიზნის მისაღწევად საზოგადოებას აუცილებელ საჭიროებად მიიჩნია დაჩაგრულ ერების სოლიდარობა და შეკავშირებული და შეთანხმებული მოღვაწეობა. საზოგადოებაში შემავალი ეროვნული სექციები და მათი მოღვაწენი ყოველი საშუალებით ცთილობენ ამ აზრის გავრცელებას და განხორციელებას. ყოველი ერი ადგილობრივი პირობების მიხედვით მოქმედობს, ხოლო თავის ეროვნულ საქმის დაცვასთან ერთად არასოდეს ივიწყებს რუსეთის დაჩაგრულ ერების საერთო ფრონტის ინტერესებს. მეგობრებისა და თანამგობრობითა მოსაპოვებლად როგორც დასავლეთში ისე აღმოსავლეთში საზოგადოება მოქმედობს პრესით, პროპაგანდით, კრებებით, სხვადასხვა საერთო ნაბიჯების გადადგმით. მიტინგებით. საზოგადოება ყოველი დონით ცთილობს შემავალ ერების ერთმანეთის გაცნობას და დაახლოვებას. საერთაშორისო სფეროში «პრომეთე» სდგას სუვერენულ ერების სოლიდარობისა, თანამშრომლობისა და მშვიდობიანობის ნიადაგზე.

ნიკო ნასიძე

ენლა გარდაცვალებული ნიკო ნასიძე ეკუთვნოდა რკინის გზელთა იმ სახელწოდებულ წრეს, რომელმაც ისე დიდი როლი ითამაშა როგორც ბრძოლაში თვითპყრობელობის წინააღმდეგ, ისე საქართველოს დამოუკიდებლობის დამყარებისა და განმტკიცების საქმეში. ეს ჯგუფი ყოველთვის იქცეოდა ყურადღებას თავის მდგარი გამოსვლებით ძველი რეჟიმის დრას, იგი იყო ცენტრი ქართველ მუშათა მოძრაობის, მან შექმნა მთელი რიგი კულტურულ და ეკონომიურ დაწესებულებათა. ხოლო როცა დადგა ქამი საქართველოს აღდგენისა, რკინის გზელთა ჯგუფმა მხურვალე მონაწილეობა მიიღო არსენალის აღებაში, ტფილისის რუსის ურდოებისაგან დაცვაში და სახალხო გვარდიის შექმნაში და საქართველოს რესპუბლიკის გამოცხადების დღიდან ის დადგა წმინდა სახელმწიფოებრივ ნიადაგზე.

ამ წრის მუშაობაში განსვენებულ ნიკო ნასიძეს ეკირა არა უკანასკნელი ადგილი. იგი ყოველთვის აქტივურ მონაწილეობას იღებდა ყველა გამოსვლისა და მოქმედებაში. იყო წევრი რკინის გზის კავშირის მთავარი კომიტეტის, წევრი ამავე კავშირის სამხანაგო სასამართლოსი, წარმომადგენელი ხაშურის რაიონისა და თავმჯდომარე ბორჯომის გვარდიის შტაბისა. ყველაზე უძვირფასესი თვისება განსვენებულისა იყო ღრმა შეგნება პასუხისმგებლობისა. გაეხსენებთ ერთს მაგალითს: 1918 წ. ჯგერა დაიწერა და როცა მეფე დედოფალი და სტუმრები სუფრაზე ისხდნენ, ცნობა მოვიდა თურქები ბორჯომის ხეობას შემოესივნენო. ნიკომ მყისვე დასტოვა ახლად შეულღებული ცოლი და საქორწილო სუფრა და სჩქაროდ გაეშურა ბრძოლის ველისკენ...

საქართველოს ოკუპაციის შემდეგ ბოლშევიკებმა ნ. ნასიძე ჯერ ციხეში ჩაადგეს და მერმე უცხოეთში გამოაძევეს. იგი ვერ შეეგუა აქაურობას, ვერც ბუნებას, ვერც ცხოვრებას. დასნეულდა. ხედავდა, რომ მისი დღეები დათვლილი იყო, უნდოდა სამშობლოში დაბრუნება, მაგრამ ბოლშევიკებმა ისეთი პირობები წამოუყენეს, რომელსაც ის ვერ მიიღებდა და ამჯობინა პატიოსანი სიკვდილი. გარდაიცვალა დასორებული სამშობლო ქვეყანას და საყვარელს ცოლ-შვილს.

მისი გვამი დაასაფლავეს 23 სექტემბერს სოფ. ლევილში და მიუხედავად ცუდი ამინდისა მრავალი ხალხი დაესწრო როგორც პარიზიდან ჩამოსული, ისე ლევილში მცხოვრები ქართველობა. კუბო მშვენიერი გვირგვინებით და თაიგულებით იყო შემკული. მეგობრებმა წარმოსთქვეს სიტყვები.

მ. აბ—ო.

წერილი რედაქციის მიმართ

ბატონო რედაქტორო!

გთხოვთ მოათავსოთ თქვენ პატივცემულ ჟურნალის უახლოეს ნომერში სოზომს ქართველთა ასოციაციის საბიბლიოთეკო კომისიის შემდეგი მიმართვა, როგორც ქართველ საზოგადოებისადმი მთლიანათ, ისე კერძო პირებისადმიც.

ქართველთა ასოციაციამ სოზომში, 26 მაისისათვის აგებულ საკუთარ შენობაში, გახსნა წიგნთსაცავსამკითხველო. სამკითხველოს საკმაოდ დიდი ზალა ლამაზათ მორთული და მოკაზმულია მისთვის ყველა საჭირო ნივთებით, ქართველი პოლიტიკური მოღვაწეების და მწერლების სურათებით.

არჩეულ იქნა სამკითხველოს კომისია და გამგე. ყველა წიგნები და ჟურნალები, როგორც ქართული, აგრეთვე სხვა ენებზე გამოცემული, დალაგებულია სრულ წესზე და შეტანილი კატალოგში.

სამკითხველოს ხსენებულმა ორგანოებმა შეიმუშავა შემდეგი წესი მუშაობისა: 1) სამკითხველოს შევსება და გაფართოება, 2) თანდათანობით შექმნა არქივისა, რომელსაც შემდეგში ექნება ეროვნული მნიშვნელობა. არქივში თავმოყრილი უნდა იქმნეს ყველაფერი, რაც დაიბეჭდება ქართულ ემიგრაციაში დღიდან მისი არსებობისა, როგორც ქართული ისე სხვა ენებზე, ეხება ქართულ საქმეს და მის პოლიტიკას.

ამ რიგათ ყველა გამოცემების ეგზემპლიარების საიმედო არქივში თავის მოყრას, მომავალში დიდი ისტორიული ღირებულება ექნება.

გამოდის რა ყველა ზემოდ ხსენებულიდან, სამკითხველოს კომისია მიმართავს ყველა ქართველს, საზოგადო ორგანიზაციას, რედაქციას და გამოცემლებს ხელი შეუწყონ და დაეხმარონ ქართველ ემიგრაციაში ერთად ერთ სამკითხველოს პერიოდული და არაპერიოდული გამოცემების თითო და ან ორი ეგზემპლიარის გამოგზავნით; აგრეთვე წინედ დაბეჭდილი და გამოცემული წიგნებით, ბროშურებით, ჟურნალ-გაზეთებით და სხვ.

ყველა ის პირები და ორგანიზაციები, რომლებიც გამოეხმაურებიან ამ მოწოდებას, ლიტერატურით თუ სხვა დახმარებით, შეტანილი იქნებიან სამკითხველოს საგანგებო სიაში, აგრეთვე პერიოდულად დაიბეჭდება ანგარიშები სამკითხველოს მდგომარეობის შესახებ.

სოზომს ქართ. ასოციაცი. სამკით. კომისიის
თავმჯდომარე მ. ნადამვილი.

წიგნთსაცავ სამკითხველოს მისამართი:
M-r N a d a c h v i l i
Association Géorgienne. Bibliothque
Sochoux (Doubs)